1-ს მაისს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 9.

ორ-კვირეული გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## ყ ვ ი რ ი ლ ა,

### 1 მაისს, 1885 წელსა.

Ჩვენი რუსული დამატების **№ 4**-ში მოწინავე სტატიით ჩვენ განვმარტეთ საჭიროება დაწვრილებითი ანგარიშების მიცემაზედ სამმართველოთა მიერ სამღვდელოებისადმი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ამ შემთხვევაში სურვილი სამღვდელოებისა, და არა თუ ეხლა, ადრევეც არა ერთხელ გამოგვითქვამს ამ გვარივე აზრი, ამგვარის ანგარიშების დარიგებაზე სამღვდელოებისადმი. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს კანონიერი მოთხოვნილება სამღვდელოებისა დღემდის რჩება დაუკმაყოფილებლად ვისგანც ჯერ არს. ჩვენის აზრით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძნელი არ არის სასულიერო სასწავლებლების სამმართველოთათვის. მაშა-სადამე რას უნდა მივაწეროთ მათის მხრით ამ გვარი უყურადღებობა? Იქნება ზოგიერთი ამ სასწავლებელთა ზედამხედველები ფიქრობენ, რომ რა კი სამღვდელოებისაგან შემოიტანება სასწავლებლის შესანახავი ფულები, ამ ფულებსა და მათ შემომტანელთ შორის სწყდება ყოველი კავშირი და სრულიად საჭირო არ არის მათ ხარჯვაზედ სხვას ვისმეს მიეცეს ეს ანგარიში გარდა უმახლობელესი მმართებლობისა. Ჰი ესრეთი უსაფუძვლო შეხედულობა დავარღვიეთ ჩვენი რუსულის დამატების მოწინავე სტატიაში. რომ ჩვენგან გამოთქმული აზრი ამ საგანზე ნამდვილი იყო და ამ გვარი ანგარიშის შედგენა შესაძლებელიც არის,—ამის დასამტკიცებლად მიუთითებთ ჩვენ ამ ნომერშივე დაბეჭდილს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ანგარიშს, რომელიც ჩვენ მივიღეთ საბეჭდათ ბ. ბრიაზნოისაგან. Ეს ანგარიში სწორედ სამაგალითოდ შედგენილი არის ბ. ბრიაზნოისაგან, და ამ ანგარიშისგან ყველას ცხადად შეუძლია შეიტყოს, თუ რამდენი შამოვიდა სამღვდელოებისგან სასწავლებლის შესანახავად, რაში რამდენი დაიხარჯა, რა დარჩა და როგორი გამოცდილებით და ს ი ნ ი დ ი ს ი ა ნ ა დ იხარჯებოდა ფულები. Ამავე ანგარიშში არის მოყვანილი დაწვრილებითი ცნობები საერო წოდების შაგირდთაგან შემოსულ ფულებზედ. სჩანს, ბ. ბრიაზნოი სრულიად წინააღმდეგია ზოგიერთი ზედამხედველების აზრისა, ვითომც სამღვდელოებას არა ჰქონდეს უფლება ამ ფულების ანგარიში მოითხოვოს. ჩვენ დ-რწმუნებული ვართ, რომ თუ ამ სასწავლებელში ყოველთვის ასე დაწვრილებითი ანგარიშები შედგენილიყვნენ და ასე საქვეყნოდ გამო-

ცხადებულიყვნენ,—მაშინ ჩვენ არ შეგვხვდებოდა წაკითხვა იმ სამწუხარო ცნობისა, რომელსაც ანგარიშის შესავლის მეხუთე მუხლში ვკითხულობთ. იმედია, რომ სხვა სასწავლებლების სამმართველონიც მიბაძვენ ამ საქებ მაგალითს ბ. გრიაზნოისას და თავ-თავის დროზე შეატყობინებენ სამღვდელოებას ამისთანა დაწვრილებით იმ შესავალ-გასავლის ანგარიშს. თუ ეს მაგალითიც მიუბაძველად დარჩა, მაშინ, იმედი გვაქვს, ადგილობრივი სასულიერო მმართებლობა მიაქცევს ამაზედ ყურადღებას და მოითხოვს სასულიერო სასწავლებლების სამმართველოთაგან ამ შემთხვევაში წესდების მტკიცედ ასრულებას.

---

## სვანეთიდამ.

ხვდება ხანდისხან წაკითხვა ზოგიერთ გაზეთებში იმ გვარი შენიშვნებისა ქალების შესახებ და თანამესარეცლობაზე, რომლებიც უმეტეს ნაწილად მოკლებულნი არიან საფუძვლიან მოსაზრებას და აჯერებენ მკითხველ საზოგადოებას, ვითომც ცოლ-ქმრობა ძველიდგანვე არ ინახებოდა სვანეთში და თავისუფალ სიყვარულს დიდი ასპარეზი ჰქონოდა; ამის გამო ვითომც ქმრები ხელ-მოდებ სტოვებდნენ თავიანთ ცოლებს და ახალ მეგობრებს ნათვისებიყონ და ვერ შესაძლებლად ჰპოებენ ამ გვარ მოვლენის მოსპობას რაიმე განკარგულებით და ყოველ იმედს მარტო დროთავითარებაზე სდებენ. ჭეშმარიტების მოინტერესე პირთაი რას მოვახსენებ: მოყვანილი შენიშვნა ძველ ჩვეულებათ არ ჩაითვლება, რადგან ჩვენ რომ ცოლ-ქმრობა გვესმის, ეს არც კი არსებობდა სვანებში, მხოლოდ პაპები რაღაც ორიოდე დამახინჯებულ ლოცვების წაბუტბუტებით და კალთების ძაფის გადაბმით ასრულებდენ მათებურად ქორწინებას, მაგრამ მაინც დარღვევა ამ გვარ ქორწინებისა ძალიან ძვირად ხდებოდა, რადგან ცოლის დამტოვებელს ქალის მონათესავენი ან მოჰკლავდენ, ან და იმდენ საუპატიოს გადაახდევინებდენ, რომ თითქმის ოჯახი ყოველივრისაგან ცარიელდებოდა. ამ გვარი სასტიკი საშვალება ძალიან ლაგმავდა სვანს ამ შემთხვევაში. მაშ რა დროს უნდა მივაწეროთ თითქმის ხელ-მოდებ ცოლ-ქმრობის გაყრა სვანეთში და უკანონო თანამესარეცლობის გახშირება? ეს მოხდა მართებლობის შესვლის შემდგომ სვანეთში, როდესაც ცოლის დამტოვებელს და აგრეთვე წამრთმევს სიკვდილის შიში აღარ აღარდებს ქალის მონათესავებისაგან. არც დიდი საუპატიოს გადახდის ეშინია. ბრიყვმა და გაუნათლებელმა სვანმა, რომელზედაც მრი ხანე და შემმუსვრელი ძალა უფრო მოქმედებს, ვინემ ტკბილი მუსაიფი, ვერ ისარგებლა კანონით მინიჭებულ თავისუფლებით და, როგორც ნამწყვდევი ნადირი, დიდ სითამამეს მიეცა ამ უკანასკნელ დროში; სტოვებს თავის კანონიერ ცოლს და სხვას ართმევს. აღელო პატივი სვანების თვალში კანონიერ ქორწინებას და გავრცელდა უკანონო თანამესარეცლეობა. ამის შესახებ საჭირო იყო, რომ სასტიკი განკარგულება მომხდარიყო, ვინემ ყურება დროისა. ეს უკანონო მოვლენა სვანების ცხოვრებაში, რასაკვირველია, შეუნიშნავს რევიზიის დროს ყოვლად უსამღვდელოესს, იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს და (ერთ ადგილს თავის ანგარიშშიდაც იხსენიებს ამას) ადგილობრივის პოლიციის დახმარებით კიდევაც მოუხდენია განკარგულება ზოგიერთა ამ გვარ უწესოების მოსპობის შესახებ; ხოლო სამღვდელოება დაურიგებია, რათა მათ სიტყვით და ქადაგებით შეაგონონ სვანები, რომ სჯულის წინააღმდეგი მოქმედებანი ცოლ ქმრობაში აღარ გაემეორებიათ შემდეგში. რადგან ადგილობრივ პოლიციას არ უდევნებია ჯეროვანი თვალ-ყური ამ განკარგულების დაცვისათვის, ამიტომ სვანებს ისევ მალე მიუყვიათ ხელი თავის უკანონო ხელობისათვის ცოლების შესახებ. ადგილობრივი სამღვდელოება, თანახმად მოვალეობისა, თუმცა ცდილობდა, რომ ქორწინების დარღვევა, ქალების ტაციაობა, ნათესავთანა ცოლ-ქმრულად შეკავშირება მოსპობილიყო, მაგრამ ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა იგი, რომ მარტო სიტყვას მოსალოდნელი გავლენა არა ჰქონდა სვანებზედ და საჭირო იყო ახალი განკარგულების მოხდენა ამის შესახებ ადგილობრივ მართებლობისაგან.

გარემოების გაგების შემდგომ—ამ უწესოების მოსპობა გულით მოინდომა სვანეთში ყოფილმა პრისტავმა უფ. მარჯანოვმა ხალხის თანხმობით დამდეგს 1883 წლისა ერთად ადგილობრივის ბლაღოჩინისა ჩამოიარა რწმუნებული მისდამი თერთმეტი საზოგადოება. თითოეულ საზოგადოებაში ახდენდენ სრულს ხალხის ყრილობას, უხსნიდენ და არწმუნებდენ, თუ რა მავნებელი შედეგი და გავლენა აქვს როგორც კერძო ოჯახისათვის, აგრეთვე საზოგადო ხალხის კეთილ მდგომარეობისათვის საიდუმლო ქორწინების დარღვევას, ქალების წართმევ-წამორთმევას და უკანონო თანამესარეცლეობას და სხვა უმსგავსო წესებს—და რომ შემდეგისათვის აღმოეკვეთათ ამ უწესოებისათვის ძირი, წინადადებას აძლევდენ, რომ ხალხს რაიმე საშუალება, ახალი დროის მიხედვით, გამოეგონებია, რადგან ძველი მათი ჩვეულება ამ გვარ შემთხვევაში ახლა აღარ გამოდგებოდა; ყველამ ყოველ საზოგადოებაში კმაყოფილებით მიიღო ეს წინადადება პრისტავისა და დაადგინა ხალხმა განაჩენები. არ მოსწონდათ ეს განკარგულება მოინტერესე და დამნაშავე პირთ, რომელთა რიცხვი საზოგადო ხმასთან არას შეადგენდა და განაჩენს მათი უთანხმოებით ძალა არ მოაკლდებოდა. განაჩენში გამოცხადებული იყო, რომ, ამ ჟამად ქალების ჩამორთმევის და დაბრუნებისა შემდგომ, ამიერიდგან არავის გაებედნა 1-დ აკვანში ბავშების დანიშვნა საცოლოდ, 2-დ ნაჭვლაშობა. (ესე იგი საცოლოს მშობლების დაკმაყოფილება ორას-სამასი მანათის საღირალის საქონლის აუცილებლად მიცემით) 3-დ უკანონოთ ქალის მითვისება და ნათესავთან ცოლქმრულად შეკავშირება და სხვა. პოლიციის დახმარებით განაჩენი სისრულეში მოიყვანეს სასოფლო მოხელე პირებმა. გავლო კარგმა ხანმა, რომ განაჩენი არავის არ დაურღვევია, მხოლოდ მოხდა ერთი თუ ორი მაგალითი დარღვევისა; მაგრამ მერე და მერე ზოგიერთმა მოინტერესე პირებმა, შეიძლება ისიც ვისმესაგან შთაგონებით, დაიწყეს სიარული თუ უეზდის სასამართლოში და თუ სხვაგან და აცხადებდენ: ხალხში არეულობა და აყალ-მაყალი ხდება ახალი განკარგულებათა მოწყალებითაო, თუმცა სრულებით არავითარი არეულობა ხალხში არ ყოფილა. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, ცრუ მოტარტალე პირებმა დააჯერეს სიცრუეში ჩინოვნიკობა უეზდის სასამართლოისა და, როცა ეს პირები ბრუნდებოდენ, სვანეთში ავრცელებდენ, რომ ყოველ მოსამართლე პირს მომეტებულად სწყინს ახალი განკარგულების მოხდენა ქალების შესახებო და მერმე მართლა ბევრი აჰყვა მათ ხმას — და დაიბრუნეს ქალები. დაწყობილი საქმე ისევ აირია. განკარგულების მომხდენ პრისტავზედ დაიწყეს ტყუილი საჩივრები, რომ ძალა დაგვრთო, თორემ ჩვენ განჩინებებს არ ვადგენდითო. მაზრის უმფროსმა მარჯანოვის თანადასწრებით შედგენილი განჩინებები არ შეიწყნარა. იშიშვა, რომ ხალხში ამბოხება არ მომხდარიყო და დღემდის რაც მომხდარა მათში აღარ მოუშალა, მაგრამ ამის შემდეგ კი ყველას სასტიკად აღუკრძალა ქალის მოტაცება და ამ გვარი უწესო საქმეები... ჩვენის აზრით ახალ-განკარგულებას აი რა ნაკლულევანება აქვს: ამ გვარ უკუნურ ხალხში—როგორც სვანებია, დასცა ავტორიტეტი პრისტავისა, რომლის განკარგულებას აწი — თუ გინდ კარგიც იყოს, ხალხი მაინც მრუდედ დაუწყებს ყურებას, მეორედ შეუცვალა აზრი ხალხს საზოგადოდ განჩინების ძალაზედ. მაშ რა სჯობდა? ის რომ ბ. უეზდის უმფროს სვანეთის დარების დროს დაერწმუნებია ხალხი, რომ მათ დაეცვათ მტკიცედ ბ. მარჯანოვის განკარგულება და არ გაებედნათ მისი დარღვევა, რადგან სჯულის და კანონის წინააღმდეგნი საქმენი დაუსჯელად არ რჩებიან ახლანდელს დროში. დარწმუნებული იყავით, ამ შემთხვევაში ხალხი ხმას არ ამოიღებდა ან რა საჭიროა ამ გვარი უკუნური ხალხისათვის ნამეტანი თავისუფლების მიცემა— თუ კი ვერ ისარგებლებს მით. იმას თუ ფიქრობდა ვინმე, რომ ახალი განკარგულება უფრო ნაყოფიერი და შეუხებელი დარჩებოდა სამუდამოთ, ეს ტყუილი აზრი მოსვლიათ, ამიტომ რომ როგორც პირველს განკარგულებას ისე ახალსაც გამოუჩნდა დამრღვევი პირი ერთს საზოგადოებაში; ამ პირმა ორჯერ მოიტაცა სხვისი ცოლები და მათ ჩამორთმევის შემდგომ თავისი დედის ნათლული მიიყვანა ცოლად. ეს პირი თანახად ახალი განჩინებისა ხუთი თუმნით დაუშტრაფავსთ და მერმე ადგილობრივს პოლიციას უეზდის სასამართლოში გაუგზავნია და, ამბობენ, იქიდგან

ბათუმში აგზავნიან დანაშაულობის მოსახდელადო. ამ გვარი გულს-მოდგინება ბ. მარჯანოვის განკარგულების დასაცველად რომ ეხმარათ, ხელ-მეორეთ განკარგულებისათვის შრომა აღარავის დასჭირდებოდა და უწესოებაც არ განმეორდებოდა. ჯერ არ ვკარგავთ იმედს, რომ ახალი განკარგულება თავის ძალაში დარჩენილიყოს და ვისურვებთ ჩვენი გულის წადილი ამისდა შესახებ გამართლებულ იყოს.

---

## მცირე შენიშვნა.

ამ უკანასკნელ დროს გაცხარებულმა ლაპარაკმა და სხვა-და-სხვა ამბებმა მოსალოდნელ ომის ატეხაზე რუსეთსა და ინგლისს შუა დღესვე გაუჩინა ზოგიერთებს გულში შემთხვევით სარგებლობის სურვილი და სხვისი შევიწროებითი თავისი ხელის მოთბობის ჟინი. აი, ზოგი წვრილი ვაჭრები წამომდგარან და იძახიან ომი იმართებაო შავი ზღვა შეკრესო და საქონელი აღარ მოგვდისო,—როგორც ვყიდდით, იმ გვარათ ჩვენი საქონლის გაყიდვა ხელს არ მოგვცემსო. წარმოიდგინეთ, ისეთ უსაჭიროესს საგანსაც კი აუწიეს ფასი, როგორც მაგალ. მარილი, რამდენიმე დღის წინეთ ფუთი მარილი ექვს შაურათ იყიდებოდა, და დღეს დიდის ხვეწნით ძლივს ყიდულობ სამ აბაზათ, აქაოდა ომიანობა კარს გვადგია, ზღვა შეიკრაო. ამ გვარი ჭორის გავრცელება და ამ ჭორითვე თავის ჯიბის გასქელება ვაჭრების მხრით დიდ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს. ვინ არ იცის, რომ ჯერ არც ომის საქმე გადაწყვეტილა და არც შავი ზღვა შეკრულა. ის კი არა, ამ ბოლო დროის ამბებისგან დღითი-დღე მატულობს იმედი, რომ ომის ნაცვლად ეს ატეხილი დავა ინგლისს და რუსეთს შუა მშვიდობიანობით გათავდება. ურიგო არ იქნება, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.—

---

## საისტორიო მასალა.

(გაგრძელება).

### მცხეთის სობორო.

ქაღალდზედ ნაწერნი:

1) სახარება თაბახზედ შავის ტყავით შეკრული, თვითო დღესასწაულს აქვს დახატული ბერძნულის გემოვნებით, არის დაწერილი ვახტანგ მეფის შვილის ლეონის დროს. აქვს ფურცელი 252.

2) სახარება დაწერილი 1705 წელში კათოლიკოზის დომენტის დროს, აკლია თავი, ფურცელი აქვს 132.

3) სამოციქულო მეოთხედ ფურცელზედ ძველის ყდით, აკლია ბოლო, ფურცელი აქვს 93.

4) მღვდელთ-მთავრის კონდაკი თაბახზედ, ფურცელი აქვს 96.

5) კურთხევანი და კურთხევა სამღვდელო ხარისხთა, მეოთხედ ფურცელზედ შავის ტყავით შეკრული, აკლია ბოლო, ფურცელი აქვს 316.

6) პარაკლიტონი მეოთხედ ფურცელზედ შავის ტყავით შეკრული, აკლია თავი და აქვს ფურცელი 552.

7) საზოგადო ტიბიკონი თაბახზედ ტყავით შეკრული, ფურცელი აქვს 408.

8) მეტაფრასი მეოთხედ ფურცელზედ შავის ტყავით შეკრული, ფურცელი აქვს 337.

9) მარგალიტიანი მეოთხედს ფურცელზედ, აკლია თავი, ფურცელი აქვს 155.

10) პარაკლისი სვეტი-ცხოველისა თაბახზედ, დაწერილი 1803 წელში.

11) წლის სადღესასწაულო თაბახზედ 1804 წ. დაწერილი, ფურცელი აქვს 703.

12) ძველი აღთქმა თაბახზედ და ეკკლეზიასტი კითხვა მიგებით, აქვს ფურცელი 420.

13) იოანეს სახარების თარგმანი, აქვს ფურცელი 164.

14) მარხვანი და ზადიკი ერთად თაბახზედ, აქვს ფურცელი 326.

16) თარგმანი ყველა სახარების სიტყვებისა თაბახიანი ყდით, არის დაწერილი ქორონიკონს 369 (1681), აქვს ფურცელი 454.

16) გრიგორი ნოსელის სწავლანი ტყავით შეკრული, ფურ. ცელი აქვს 440.

18) იოანე ღვთის მეტყველის ცხოვრება, მის მოწაფის პროხორისაგან ქმნილი; იერუსალიმის დარღვევა; ცხოველსმყოფელის ჯვარის გადატანა სპარსეთში ხვასროს დროს და იერუსალიმის პატრიარქს ზაქარიაზედ ტყავით შეკრული თაბახზედ დაწერილი, ფურცელი აქვს 454.

18) იოანე ოქროპირის სწავლანი თაბახზედ დაწერილი, ტყავით შეკრული, აკლია თავი და აქვს ფურცელი 220.

19) წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა თაბახზედ კითხვა-მიგებით, აკლია ბოლო და აქვს ფურცელი 289.

20) წიგნი ანტექრისტესთვის მერვედ ფურცელზედ ტყავით შეკრული, ფურცელი აქვს 103.

21) წიგნი ფუტკარი, რომელსაც თავი და ბოლო აკლია.

22) ახსნა ეკკლესიასტესა თაბახზედ, მიტროფანე ზმირნელისა და ოლიმპი დიაკონისა ტყავით შეკრული, აქვს 152 ფურცელი, აკლია ბოლოს ფურცლები და გახსლებულია მეფის არჩილისაგან.

23) ეფრემ სირინელის წიგნი თაბახიანი, დაწერილი დომენტი კათალიკოზის დროს 1706 წელში, აქვს ფურცელი 374.

24) ასმეტიკა, დაწერილი 1750 წელში, აქვს ფურცელი 224.

25) დოღმატი, დაწერილი 1711 წელში, აქვს ფურცელი 248.

26) ხელთ-სამძღვანელი წიგნი, სადაც არის საუბარი ერეტიკოსებთან და საკუთრად სომხებთან და ებრაელებთან, აქვს ფურცელი 20.

27) სარებალით წიგნი კირილე ალექსანდრიელისა და მაქსიმე აღმსარებელისა, დაწერილია 1706 წელში, აქვს ფურცელი 504.

28) გულმაქარის ისტორია რუსულით, აქვს ფურცელი 123.

29) ღვთის-მეტყველება პროკლე და დიადოხოსი, აქვს ფურცელი 277.

30) ღვთის-მეტყველება იოანე დამასკელისა, აქვს ფურცელი 148, ამის ბოლოს არის დაწერილი მოქცევა საქართველოსი ქრისტიანედ, ნების მიცემა საქართველოში მირონის შემზადებისა და აფხაზეთის მოქცევა ბერძენთ მეფის იუსტიანეს დროს.

31) სიტყვანი დიდს პარასკევს და აღდგომაზედ, აქვს ფურცელი 52.

32) კურთხევანი ერთად შეკრული სხვა წიგნთან, სადაც საღმრთო წერილის ადგილები არიან დახსნილები, აქვს ფურცელი 428.

33) სიტყვა შექმნისათვის სოფლისა ვასილი დიდისა, მეოთხედ ფურცელზედ და შეკრული ტყავით, აქვს ფურცელი 204.

34) წიგნი პროკლე და დიოდოროს კავშირისა, დაწერილი 1731 წელში, ფურცელი აქვს 243.

35) წიგნი შესახებ ცხოველს-მყოფელის სვეტისა და მოქცევა საქართველოსი, დაწერილი 1709 წელში, აქვს ფურცელი 172.

36) ქართული ლექსიკონი, დაწერილი 1720 წ. ფურცელი აქვს 231.

37) ბერძნული წიგნი მსოფლიო კრებაზედ, თავი და ბოლო აკლია.

38) მეორე წიგნი ბერძნულივე—ნათესაობაზედ.

39) კანონნი მსოფლიოთა და ადგილობრივთა კრებათა, ეგრეთვე აფხაზეთში ყოფილის კრებისა მეფის დავითის დროს ქორონიკონს 384 (1696 წ.), აქვს ფურცელი 310,

40) კონდაკი და კურთხევანი ერთად, აქვს ფურცელი 160, აკლია თავი და ბოლო.

41) სახარება დაწერილი 1801 წ., აქვს ფურცელი 265.

42) თეოდორე ღირსისა წიგნი, ცხოვრება გრიგორი ღვთის მეტყველისა და ანტონი დიდისა, აკლია თავი და ბოლო, აქვს ფურცელი 467.

43) იგავების ახსნა სახარებიდგან, აქვს ფურცელი 303,

44) სწავლა ვასილი დიდისა, სადაც არის ერთად ლიტურღია იაკობ იერუსალიმელისა პატრიარქისა და პეტრე მოციქულისა, აქვს ფურცელი 71.

45) კონდაკი, ფურცელი აქვს 45,

46) სახარება მეოთხედ ფურცელზედ, აქვს ფურცელი 233.

47) დახვეული გუჯას მსგავსად ზომით შვიდი არშინი და ერთი ჩარექი, რომელზედაც არის დაწერილი კურთხევა მირონისა, აღსრულებული მცხეთის სობოროში. კანონები ესე გადმოცემულ არიან იერუსალიმის და ანტიოქიის ეკკლესიებიდგან მცხეთის სობოროში ხელსამძღვანებლად.

48) კანონები მღვდელ-მთავრის კურთხევისა და იმაზედ, რომელ მცხეთის სობოროში შვენის იყვნენ ხელ დასხმულ მხოლოდ მღვდელ-მთავრად აღრჩეულნი.

კარეგან ამ სობოროს აღმოსავლეთის ფანჯარას ქვემოთ არის დახაზული მაცხოვარი და აქეთ-იქით ღვთის-მშობელი და ნათლის-მცემელი. ბოლოს აწერია ასე: ქ. ადამს აქეთ შვიდი ათას ას ოთხმოცდა ექვსას, ქრისტეს აქეთ ათას ექვსას სამოცდა-თვრამეტსა, ღმერთო შეიწყალე ნიკოლოოზ მაღალაძე.

უკეთუ არ ვსცდები, მცხეთაში არიან დაფლულნი: სვიმონ და გიორგი მეცამეტე, ირაკლი მეორე, გიორგი მეცამეტის მეუღლე მარიამ, ასული ამათი თამარ, შვილის-შვილნი ამათნი პეტრე და დიმიტრი ილიას ძენი, გიორგი მეცამეტის შვილის-შვილი ალექსანდრე ბაგრატიონი, თამარ დედოფალი, გარდაცვალებული 1684 წელში; ირაკლი მეფის მეუღლე დედოფალი ანნა აბაშიძის ასული დიდი, ანტონ კათოლიკოზი, გარდაცვალებული 1746 წელში საქებოსანი ეკატირინე, გარდაცვალებული ქორონიკონს 379-ს ანტონ კათოლიკოსი იასეს ძე, იულონის ასული თამარ-ქალწული; ბორგასლან, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ და დადიანის ასული მარიამ დედოფალი.

## დარიის მონასტერი.

ეს ეკკლესია ყოფილა კარის ეკკლესია მეფის ირაკლი მეორის მეუღლის დარიასი, რომელიც იყო ასული გიორგი დადიანისა და რომელმაც 1790 შემოავლო გალავანი და ბურჯები და თავის მო-

სახელე წმ. დარიას სახელობაზედ აღაშენა, აქვს სიგრძე 7 საჟენი, სიგანე 2 საჟენი და ხუთი ჩარექი, სიმაღლე 3 საჟენი და სამი ჩარექი.

ამ მონასტერში სდგას კანკელი ფიცრისა, რუსეთის ხელოვნებით დახატული და მოვარაყებული. მონასტრის ქონებას შეადგენენ: ექვსი ვეცხლის ტრაპეზის ჯვრები, ოქროს წყალში დაფერილნი. ტაძრის ხატი ფერისცვალებისა სიმაღლით არის ორი არშინი და სიგანით ერთი არშინი, მოჭვილია ცურებულ ოქროში ვეცხლით.

კანკელში 1) ხატი მაცხოვრისა მოოქროვილი, ვეცხლით შეჭედილი ძვირფასის ქვებით და მარგალიტით, გვირგვინი აქვს ალმასით შემკული.

2) ხატი ღვთის-მშობლისა მოოქროვილის ვეცხლით. ამ მონასტერში არიან წმიდა ნაწილნი საკუთარის გარდამოხსნის კუბოს მსგავსად შექმნილს კიოტში, რომელთა შორის არის შესანიშნავი იმ ხის პინაკის ნაწილი, რომელსა ზედა, გარდამოცემისა მებრ, იესო ქრისტემ აღასრულა საიდუმლო სერობა. პინაკი ესე, როგორც იტყვიან, გარდმოტანილ არს იერუსალიმიდგან კონსტანტინეპოლში, ხოლო იქიდგან ბერძენთ მეფის ასული ირინესაგან, რომელიც იყო მეუღლე დავით აღმაშენებელისა, გარდმოტანილ არს საქართველოში და დასვენებულ მისგან დაფუძნებულს კავთისხევის მონასტერში.

---

### ვაქირის ნათლისმცემლის ეკკლესია.

ეს ეკკლესია არის აღშენებული 1550 წელში მეფის ლეონისაგან, საკურთხეველს აქვს სიგრძე და სიგანე ათი არშინი და ნახევარი და გარეთ კანკელიდგან ოცდა სამ არშინ ნახევარი სიგრძით და სიგანითაც. კანკელი სდგას რუსეთის ხელოვნებისა ფიცარზედ დახატული, არც ხელთ ნაწერნი წიგნნი და არც სხვა შესანიშნავი განძეულობა არა იპოება-რა აქ.

ტფილისის ეკკლესიებთ შორის კი იპოება ერთი ხელთ-ნაწერი (პერგამენტზედ) ეტრატზედ ანჩისხატის სობოროში. ეს არის იოანე ოქროპირის ლიტურლია გუჯარის მსგავსად დახვეული ხეზედ. მეორე ხელთ-ნაწერი—გულანი არის ქვაშვეთის ეკკლესიაში, რომელიც აღუწერინებია ბატონიშვილს ვახტანგს და შეუწირნია. პირველი ამათგანი—სობორო ოდესმე შემუსვრილი აღუშენებია ხელმეორედ კათოლიკოზს დომენტის ქაიხოსროს ძეს, ხოლო ქვაშვეთის ეკკლესია სახელსა ზედა ღვაწლით შემოსილის მთავარ მოწამის გიორგისა აღუგია ამილახორ გივსა და მემცხედრესა მისსა ბანგუმს, თავის ზღუდითა, ბურჯითად და სახლით. მეფობასა კეთილ-მსახურის გვირგვინოსანი თეიმურაზისა და ძისა მისისა კეთილ-მსახურის მეფის ირაკლისასა, ხოლო მამათ მთავრობასა ანტონი დავითიანისა, წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა 1753-სა.

მღვ. მ. ხელაევი.

---

### ჟურნალ-გაზეთთაგან.

დღეს სწორედ ერთი თვე შესრულდა მას შემდეგ რაც ავღანელებთან შეტაკება მოხდა. თუ მოვიგონებთ იმ ვითარებას, რომელზედაც დამყარებულია ინგლისების მდგომარეობა აზიაში, უეჭველია ამ ამბის შემდეგ ყველა იმას იფიქრებდა, რომ დღეს თუ ხვალ ომი გამოცხადდებაო. ინგლისი საზოგადოდ არა ჩვეულებრივად მგრძნობიერია ყოველ იმ საგნის შესახებ, რომელიც იმის კეთილდღეობის შემაფერხებელია, ან მისი თავმოყვარეობის დამამცირებელი. მართალია, სიამაყე და ნაციონალური თავმოყვარეობა არც ერთს ევროპიულს სახელმწიფოს არ აკლია, მაგრამ ინგლისმა და ინგლისელებმა ამ შემთხვევაში სხვებს გადააჭარბეს. ლიუდოვიკოს მეთოთხმეტის დროს ინგლისს არ დაუშურავს არავითარი ღონისძიება, არც ფულით და არც კაცით, რომ ესპანიის მემკვიდრეობის ომში გამარჯვებული გამოსულიყო. თუმცა საფრანგეთმა თავის წადილი შეისრულა და ბურბონების სახლობა გაამეფა ესპანიის ტახტზე, მაგრამ ინგლისმა მაინც თავისი აიღო: დაიპყრო ისეთი ადგილი ევროპაში, რომელიც მთელი ევროპის გასაღებად ითვლებოდა სუეზის არხის გაყვანამდე; გიბრალტარი შეადგენდა ისეთს ალაგს, რომლის დახურვით დაიხურვებოდა მთელს შუა ხმელთა ზღვაში კომერციული და სამხედრო მოძრაობა და მოქმედება,—და ეს ადგილი დაიპყრო ინგლისმა.

როცა ნაპოლეონ პირველმა მთელი ევროპა შესძრა, დაასუსტა და დაამცირა თითქმის ყველა სახელმწიფონი; როცა ბონაპარტე თოთხმეტი წლის განმავლობაში სრული მბრძანებელი იყო;—ინგლისი სისტემატიურად მტრობდა მას, ქედს არ უდრეკდა, არც ერთს საგანში არ უთმობდა და იქნამდის მიიყვანა ეს მსოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიო გენიოსი, რომ ერთს უბრალო ხომალდზედ დატუსაღებული გაამგზავრა წმ. ელენეს კუნძულზე, სადაც ბონაპარტემ დალია თავისი დღენი.

ეს ორის სამის საუკუნის ისტორია (თუ ამერიკას შეტაკების ომს არ მივიღებთ მხედველობაში) აშკარად გვიმტკიცებს, რომ ინგლისი არც ხარჯს, არც სხვა რამ მსხვერპლს არ დაზოგავს, თუ კი მოითხოვს მისი სარგებლობა ან თავმოყვარეობა.

ინგლისის სუსტი ადგილი ინდოეთია. როცა ამ ერთის თვის წინად ავღანში შეტაკება მოხდა, ვიმეორებთ, ყველა იმას ფიქრობდა, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში ომი გამოცხადდებაო. მაგრამ საქმე ჯერ შეჩერდა...

გლადსტონს ბევრი მტერი ჰყავს და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ყოველი საგნის შესახებ იმას მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდებოდნენ. მაგრამ როცა იმან სთხოვა საზოგადოებათა პალატას, რომ თითქმის ას ათი მილიონა მანათია საჭირო და უნდა მოგვცეთო, ერთი კაციც არ აღმოჩენილა, რომელსაც საწინააღმდეგო რამ ეთქვა; კენჭიც არ უყრიათ, ისე დასთანხმებიან მთელი ინგლისის ერის წარმომადგენელნი.

ეს ამბავი ფრიად ხაყურადღებოა. იგი ამტკიცებს, რომ ინგლისი თავის-თავს შეურაცხყოფილად სთვლის და ცდილობს დაკმაყოფილება მიიღოს. თუ ასე გაჭიანურდა ომის გამოცხადება, ეს იმიტომ რომ აწინდელი დროის პოლიტიკა და მდგომარეობა სულ სხვა მომზადებას, სულ სხვა თავდარიგს ითხოვს, ვიდრე ლიუდოვიკოსი ან ნაპოლეონის დროს. სახელმწიფოთა შორის ისეთი რთული ურთიერთობაა დამყარებული, რომ ათჯერ უნდა გაიზომოს საქმე და თერთმეტჯერ მოიჭრას.

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

„დროებამ“ აგვიწერა ამას წინეთ ორი მღვდლის საქციელი, რომლების (მღვდლების) მოქმედებით ამტკიცებდენ თითქმის ყველა მღვდლების შეუბრალებლობას და უგრძნობელობას გაჭირებულთა ხალხთა დახმარებაზე და შებრალებაზე. საქციელი, რომელსაც „დროება“ მოგვითხრობდა, სწორეთ მართლა საყურადღებო იყო. ჩვენ არ დავერწმუნეთ „დროებას“ და მოვთხოვეთ დაესახელებია ის მღვდლები ჩვენთვის და ამით ნამდვილი ამბავი შეგვეტყო. „დროებისათვის საჭირო იყო გამოეცხადებინა, რომ პირველი მღვდელი არის ესა და ეს. მეტი ჩვენთვის არაფერი არ იყო საჭირო. აი როგორ გვისახელებს პირველ მღვდელს „დროების“ კორესპონდენტი:

> იმ ამბის გმირს-მღვდელს თავი მოაქვს მით, რომ თბილისის სემინარიის კურსოვნიკია; ბლაღოჩინად ნამყოფი, დეკანოზის ჯვარი აქვს და ჩქარა კურთხევასაც მოელის და ამავე მღვდელს კარგად იცნობს პატივ-ცემული დ. ს. ს. დიმიტრი პ. ფურცელაძე, რომელიც დამემოწმება, თუ „მწყემსის“ რედაქცია კიდევ ურწმუნოებას გამოაცხადებს ნათქვამში მღვდელი ქრისტესია ასათიანი (ვასახელებ „მწყემსის“ სურვილით).

აი თუ გინდათ პასუხი და მშვენიერი დასახელება კაცის, ეს არის. წადი შენ და ამ დასახელებით გამოიცან, ვინ არის ეს მღვდელი!..

აი კიდევ მეორე უკეთესი დასახელება:

> რაც შეეხება კოდის პურის მოკრებას გადამწვრებიდგან და ჩაფრის სიტყვებს, მოგიყვან მაზედ მოწმებად პოლიციის ბოქაულს ლ. რობიტოვს და ვეჯინის მცხოვრებელთ: გიქო ტარულოვს, საბა გველიკოშვილს და ლევან ზავრაშვილს, რომლებთანაც წარმოსთქვა ჩაფარმა ტიტიკომ (გვარი არ მახსოვს); ლევანა ზავრაშვილი ეკუთვნის დამწვრებს და ამ უკანასკნელს, რადგანაც პური არ ქონდა, თორმეტი აბაზის ბარათი ჩამოართვა მღვდელმა.

ჩოდი და გაიგე ვინ არის ეს მღვდელი! „ტიტიკომ ილაპარაკაო.“ ამ ტიტიკოს გვარი არ ახსოვს ბ. „დროების“ კორესპონდენტს, მაგრამ ან კი რა საჭიროა ეს?! ტიტიკო და ბველიკაშვილი ხომ საქართველოში ყველამ იცის! აი, ესე მალე შემოაწყდება ხელში კაცს სიტყვა, როდესაც იგი სიცრუეზე და ცილის წამებაზე არის დამყარებული!.

„დროების“ კორესპონდენტი განაგრძობს კიდევ:

> ხორაგეულობა დასასაფლავებლად გლეხს ხშირად შინ მოეპოება შემთხვევის დროს, ფული კი არა—„დროებაშიაც“ ასე იყო ნათქვამი. გარდა ამისა სხვა ხარჯის გადადება და შემცირება სიკვდილის დროს დამოკიდებულია გარდაცვალებულის პატრონის სურვილზედ, მღვდლის გასტუმრება კი არა, რომლის შემსუბუქება გარდაცვალებულის პატრონისათვის შეიძლება საზოგადოების დახმარებით.

ხწორეთ მშვენიერი მოსაზრება არის. ამ მშვენიერ მოსაზრებას ჩვენის მხრით განმარტება არ ეჭირვება...

# განცხადება.

## მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

## „მწყემსზედ“

### და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლის —**სამი მანეთი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“.** ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

---

**შინაარსი: ოფიც. ნაწილი:** ანგარიში შესავლის და გასავლის ჯამთა მეგრელიის სასულიერო სასწავლებლისა 1884 წელში.—მოწოდება შემწირველთა.—**არა ოფიც. ნაწილი:** ყვირილა 1 მაისს 1885 წ.—მცირე შენიშვნა.—საისტორიო მასალა, მცხეთის სობორო.—ჟურნალ გაზეთთაგან.—ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—განცხადებანი.

---

*Доз. цензурою Кутаисъ, 30 Апрѣля 1885 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძის და ფერაძის.

# ოფიციალური ნაწილი

«მწყემსისა.»

# ანგარიში

შესავლის და გასავლისა ჯამთა მეგრელიის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების საშუალებათაგან შესანახავად მეგრელიის სასულიერო სასწავლებლისა 1884 წელში.

შემოსავალი 1884 წელში.

| მუხლნი შემოსავალთა: | მან. | კაპ. | განმარტება. |
|---|---|---|---|
| კომლური შემოსავალი ფული: | | | |
| ა) 1878—82 წლებისა (დანარჩენი ასალები ფულებიდამ): | | | ა) 1) ეს ფულები მიღებულია ატნოშენიით 17 იანვრიდამ 1884 წლისა, № 27. ბ) ამ ჯამისაგან 110 მ. 30 კ. წარმოდგენილია ატნოშენიით 27 სეკტემბრიდამ 1884 წლისა, № 32, ხოლო 39 მ. 98 კ. დაჭერილია სამმართველოსაგან მიღებულის სამღვდელოების ჯამაგირისაგან ყოვლად სამღვდელოს განკარგულებისა, თანახმად სამმართველოს ჟურნალური დადგენილობისა 7—10 დეკემბრიდამ, № 39, რომელიც დამტკიცებულია მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან. |
| 1) ბლაღ. დეკანოზის სისორდიასაგან . | 14 | 40 | |
| 2) ბლაღ. მღვ. ქლიავასაგან . . | 150 | 25 | |
| 3) ბლაღ. მღვ. ალშიბაიასაგან . . | 97 | 50 | 3) ეს ჯამი დაჭერილია, თანახმად წინანდელის განმარტებისა სამღვდელოების ჯამაგირიდგან. |
| და სრულიად . . | 262 | 15 | |
| ბ) 1883 წლისა (დანარჩენი ასალები ფულებიდამ): | | | ბ) 1) ამ ფულებიდამ 150 მ. მიღებულია ატნოშენიით 10 იანვრიდამ, № 5 და 188 მ. 12 ფებერვლიდამ № 23 ამა 1884 წლისა. |
| 1) ბლაღ. მღვდლის გოშუასაგან . . | 338 | 75 | |
| 2) ბლაღ. დეკანოზის სისორდიასაგან . | 330 | — | 2) ატნოშენიით 17 იანვრიდამ, № 25 ამა 1884 წ. |
| 3) ბლაღ. დეკანოზის მეუნარგიასაგან . | 673 | 5 | 3) ატნოშენიით 18 იანვრიდამ ამა 1884 წ. № 16. |
| 4) ბლაღ. მღვ. ქავთარაძისაგან . . | 203 | 55 | 4) ატნოშენიით 24 იანვრიდამ. 1884 წ. № 40. |
| 5) ბლაღ. მღვ. ხუხუნისაგან . . | 251 | 85 | 5) ატნოშენიით 22 იანვრიდამ, ამა 1884 წ. 11. |
| 6) ბლაღ. მღვ. ალშიბაიასაგან . . | 143 | 85 | 6) ატნოშენიით 7 ფებერვლიდამ 1884 წ. № 20. |
| 7) ბლაღ. მღვ. ქლიავასაგან . . | 169 | 60 | 7) ატნოშენიით 14 მარტიდამ 1884 წ. № 115. |
| 8) ბლაღ. მღვ. კარანაძისაგან . . | 30 | — | 8) ატნოშენიით 14 ივნისიდგან 1884 წ. № 124. |
| 9) ბლაღ. მღვ. ბერიძისაგან . . | 431 | 10 | 9) ამა ჯამისაგან წარმოდგენილია 81 მ. 10 კ. ატნოშენიით 10 მარტიდამ 1884 წ. № 180 და 350 მ. ატნოშენიით 2 თებერვლიდამ 1884. № 43. |
| 10) ბლაღ. მღვ. ჩხინკელისაგან . . | 90 | — | 10) ატნოშენიით 26 იანვრიდამ 1884 წ. № 34. |
| 11) მარტვილის ხობოროსაგან . . | 28 | 5 | 11) ატნოშენიით 21 აგვისტოდამ 1884 № წ. 15. |
| და სრულიად . . | 2680 | 80 | |
| გ) 1884 წლისა. | | | |
| 1) ბლაღ. დეკანოზის მაჭავარიანისაგან . | 170 | — | გ) 1) ამ ჯამისაგან 100 მ. წარმოდგენილია ატნოშენიით 7 იანვრიდამ 1884 წ. № 23 და 70 მ. 31 მაისიდგან 1884 წ. № 232. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | მან. | კაპ. | |
|---|---|---|---|
| 2) ბლაღ. მღვ. კალანდარაშვილისაგან . | 305 | 40 | 2) ამ ფულებიდამ 77 მ. 24 კ. წარმოდგენილია ატნოშენიით 28 თებერვლიდამ 1884 წ. № 58; 34 მ. 84 კ.—ატნოშენიით 5 ივნისიდგან № 137, ხოლო დანარჩენი 193 მ. 32 კ., თანახმად მისი ყოვლად უსამღვდელოესობის განკარგულებისა, დაჭერილია სამმართველოსაგან მისი საბლაღოჩინოის სამღვდელოების ჯამაგირისაგან. |
| 3) ბლაღ. დეკანოზის მეუნრგიასაგან . | 673 | 5 | 3) ამ ჯამისაგან—344 მან. 55 კ. მიღებულია ატნოშენიით 21 აგვისტოდამ 1884 წ. № 276, ხოლო დანარჩენი 328 მ. 50 კ. დაჭერილია სამმართველოსაგან, თანხმად მისი ყოვლად უსამღვდელოესობის განკარგულებისა, მიღებული სამღვდელოების ჯამაგირისაგან. |
| 4) ბლაღ. მღვ. ანჯაფარიძისაგან . | 381 | 15 | 4) 5) 6) 7) 8) 9) 10) 11) 12) 13). ყველა ამ ბლაღოჩინებს ეს აღნიშნული ჯამი დაექვავათ სამმართველოსაგან, თანხმად მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის განკარგულებისა, თვითოეული საბლაღოჩინოის კუთვნილი ჯამაგირისაგან, რომელიც სამართველომ მიიღო ახალ-სენაკის ხაზინისაგან, ამასთანავე უმექონელობისა გამო სამართველოში კანონიერი და ნამდვილ სწორი და განსაზღრული თითოეული საბლაღოჩინოის კომლური სიისა კუთვნილის მათდამი ეკკლესიებისა და მათი შეუდგენლობისა გამო, თუმცა სამმართველომ სთხოვა მათ, ყოფილის XX კრების სამღვდელოების დეპუტატებისაგან წაღებულ იქმნა სახელმძღვანელოდ, კომლური შემოსატანი ფულების, შესატყობლად სასწავლებლის ოლქის თითოეული საბლაღოჩინოისაგან ხვედრი ფულებისა, ნამდვილი სიები, წარმოდგენილი ბლაღოჩინებისაგან ფულების წარმოდგენის ჟურნალური დადგენილობისა 7—10 დეკემბრიდამ ამა 1884 წ. დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოსისაგან, დროს 1883 წ. სამმართველოს თანახმად. |
| 5) ბლაღ. დეკანოზის სისორდიასაგან . | 335 | 40 | |
| 6) ბლაღ. მღვდლის გოშუასაგან . | 338 | 75 | |
| 7) ბლაღ. მღვდლის ხუხუნისაგან . | 251 | 85 | |
| 8) ბლაღ. მღვდ. ალშიბაიასაგან . . | 443 | 85 | |
| 9) ბლაღ. ბერიძისაგან . . . | 431 | 10 | |
| 10) ბლაღ. მღვ. კარანაძისაგან (გეგელია) . | 351 | 35 | |
| 11) ბლაღ. მღვ. ელიავასაგან . . | 160 | 60 | |
| 21) ბლაღ. მღვ. ქავთარაძისაგან . . | 203 | 55 | |
| 13) მარტვილის სობოროისაგან . . | 28 | 5 | |
| ჯ სრულიად . . | 4282 | 10 | |
| II ეკკლესიებიდგან შემოსული ფული: | | | |
| ა) 1883 წ. (დარჩენილი ასაღები ფულებისაგან: | | | |
| 1) ბლაღ- მღვ. ალშიბაიასაგას . . | 25 | — | ა) 1) ატნოშენიით 7 თებერვლიდამ 1884 წ. № 20. |
| 2) ბლაღ. მღვ. ელიავასაგან . . | 15 | — | 2) ატნოშენიით 14 მარტიდამ 1884 წ. № 115. |
| 3) ბლაღ. მღვ. ბერიძისაგან . . | 35 | — | 3) ატნოშენიით 10 მარტიდამ 1884 წ. № 180. |
| 4) ბლაღ. მღვ. ხუხუნისაგან . . | 16 | — | 4) ატნოშენიით 30 მაისიდგან 1884 წ. № 90. |
| 5) ბლაღ. დეკანოზის სისორდიასაგან . | 43 | — | 5) ატნოშენიით 17 იანვრიდამ 1884 წ. № 25. |
| 6) ბლაღ. დეკანოზის მეუნარგიასაგან . | 30 | — | 6) ატნოშენიით 18 იანვრიდამ 1884 წ. № 16. |
| და სრულიად . . | 164 | .. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | მან. | კაპ. | |
|---|---|---|---|
| ბ) ეკკლესიებიდგან 1884 წელში: | | | |
| 1) ბლაღ. მღვ. კალანდარაშვილისაგან . | 15 | — | ბ) 1) ამ ფულებიდამ 8 მ. წარმოდგენილია ატნოშენიით 28 თებერვლიდამ 1884 წ. № 58 და 2 მან. ატნოშენიით 5 ივნისიდგან 1884 წ. № 137, ხოლო დანარჩენი 5 მ. დაჭერილია, სამღვ. ჯამაგირისაგან, თანახმად განმარტებისა კომლური შემოსავლისაგან ამა 1884 წ. |
| 2) ბლაღ. მღვ. ანჯაფარიძისაგან . . | 11 | — | 2) 3) 4) 5) 6) 7) 8) 9) 10) 11). ეს ფულები დაკავებულ იქმნა, თანახმად კომლური შემოსავლის განმარტებისა, ამ წლის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების ჯამაგირისაგან, რომელიც მიიღო სამართველომ. (მუხ. განმარ. შემოსავლის I მუხ., ფურცელსა ქვეშე გ.) |
| 3) ბლაღ. დეკანოზის სისორდიასაგან . | 43 | — | |
| 4) ბლაღ. მღვ. გოშუასაგან . . | 13 | — | |
| 5) ბლაღ. მღვ. ხუხუნისაგან . . | 16 | — | |
| 6) ბლაღ. დეკანოზის მეუნარგიასაგან . | 30 | — | |
| 7) ბლაღ. მღვ. ალშიბაიასაგან . . | 25 | — | |
| 8) ბლაღ. მღვ. ბერიძისაგან . . | 35 | — | |
| 9) ბლაღ. მღვ. კარანაძისაგან (ბებელის) | 42 | — | |
| 10) ბლაღ. მღვ. ელიავასაგან . . | 15 | — | |
| 11) ბლაღ. მღვ- ქავთარაძისაგან . . | 21 | — | |
| და სრულიად . . | 266 | — | |
| III. ღვირგვინაკების და შენდობის წიგნების გაყიდვისაგან: | | | |
| 1) ბლაღ. დეკანოზი სისორდიასაგან . | 22 | 20 | 1) ატნოშენიით 17 იანვრიდამ 1884 წ. № 26. |
| 2) ბლაღ. მღვ. კალანდარაშვილისაგან . | 41 | 58 | 2) ატნოშენიით 20 იანვრიდამ 1884 წ. № 11. |
| 4) ბლაღ. მღვ. გოშუასაგან . . | 21 | 60 | 3) ატნოშენიით 9 მაისიდგან 1884 წ. № 10. |
| 4) ბლაღ. მღვ. ანჯაფარიძისაგან . . | 130 | 53 | 4) ატნოშენიით 22 აგვისტოდამ 1884 წ. № 345. |
| 5) ბლაღ. მღვ. ხუხუნისაგან . . | 150 | — | 5) ატნოშენიით 18 ოკტომბრ. 1884 წ. № 222. |
| 6) ბლაღ. მღვ. კარანაძისაგან : . | 125 | — | 6) ატნოშენიით 26 ოკტომბრ. 1884 წ. № 184. |
| 7) სასწავ. მოწაფის ივანე ჯანელიძისაგან | — | 16 | |
| და სრულიად . . | 491 | 7 | |
| IV. საერო წოდების შვილთა სასწავლო ფულები . . . . . . | 1425 | 56 | IV. თვითეულ ერის-კაცის შვილს სასწავლებელი ფული ხდება, თანახმად მისი უსამღვდელოესობის მოწყალობისა, 18 მ. ამ ნაჩვენები ფულებისაგან 275 მ. 56 კ. შემოვიდა სწავლის ფულებისთვის წარსული 188¾ სასწავლო წლებისა, ხოლო 1150 მ. მდგომარე 188⅘ სასწავლო წლებში. ყველა ბავშები საერო წოდებისა წარსულ 188¾ სას. წელში ითვლებოდა სასწავლებელში 116, რომელთაგან უნდა შემოსულიყო 2088 მ. ამ ფულებიდამ 1355 მ. ჩაწერილია შეხავალში წარსულ 1883 წელსა, 236 მ. 44 კ. ითვლება სასწავლებლის ზედამხედველად ყოფილს ხელაძეზედ; 126 მ. არ არის შემოტანილი 7 მოწაფისაგან, რომელნიც არ გამოცხადებულან სასწავლებელში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ავად-მყოფობისა გამო; ორი მოწაფე სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან და მესამე განთავისუფლებულია გადასახადის მეორე ნაწილისაგან, თანახმად სამართველოს ჟურნალის დადგენილობისა-დამტკიცებულის მისი ყოვ. უსამღვდელოესობის, ამ, |
| და სრულიად . . | 1425 | 56 | |

| | მან. | კაპ. | |
|---|---|---|---|
| | | | რეთის ეპისკოპოზისაგან, რაც შეადგენს 45 მ., ამ სამი მოწაფის მაგიერ ფული უნდა შემოიტანოს სასწავლებლის მასწავლებლად ყოფილმა ძიმისტარაშვილმა. რომლის ხელ-წერილი არის სამმართველოში, ერთი მოწაფისაგან (თედოსიმოვის), რომელმაც სასწავლებელს თავი დაანება წარსულ სასწავლო 188¾ წელშივე და რომელზედაც სასწავლო ფული ამიტომ ითვლებოდა შემოუტანელად, მაგრამ შემდეგ კანონიერი გამოძიებისა, მოხდენილის თანახმად მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის პავლეს, საქართველოს ექსარხოსისა, აღმოჩნდა, რომ ფულები მიღებული ყოფილიყო სასწავლებლის ზედამხედველად ყოფილის ხელაევისაგან, რომელსაც უკვე გადახდა მთლად ეს 18 მ. და ჩარიცხულია მოულოდნელი შემოსავლის ჯამში ქვეშე ფურცლისა ბ) (ჟურნალები სამართველოისა №№ 18, 3 მაისიდგან და 26, 3 ივლისიდგან. |
| V. შემთხვევითი შემოსავალი: | | | |
| 1) გადაცვალებულის მღვდლის ტოლორაიას მემკვიდრეებისაგან . . | 20 | — | V. 1) ეს ფულები წარმოდგენილია ბლაღ. დეკანოზის მეუნარგიასაგან ატნოშენიით 2 მაისიდგან 1884 წ. № 126. |
| 2) სასწავლებლის ზედამხედველად ნამყოფის ეხლა თელავის სასულიერო სასწავ. მასწავლებლის ამროსი ხელაევისაგან | 187 | 18 | V. 2) თანახმად მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, პავლეს განკარგულებისა თელავის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან ეს ფულები ჯამაგირისგან დაეკავა თელავის სას. სასწავლებლის მასწავლებლის, უწინ სამეგრელოს სასწავლებლის ზედამხედველად ყოფილის ბ. ხელაევის გადასახდელად სამეგრელოს სასწავლებლის სასარგებლოდ იმა 5,578 მ. 95 კ. ანგარიშში, რომელიც ედება მას. დაკავებული ფულებიდგან მიღებულია ერთხელ 71 მ. 95 კ. ატნოშენიით 9 ივნისიდგან 1884 წ., № 421 და მეორეთ 115 მ. 35 ატნოშენიით 7 ნოემბრიდამ 1884 № 573 ამ წარმოდგენილ ფულების ჯამში შედის ის 18 მ,. რომელიც მოხსენებულია შემოლის წინა მუხლის განმარტებაში. |
| და სრულიად . . | 207 | 18 | |
| VI. შემოსავალი ვალად დარჩენილი ფულებისა: | 16 | 66⅔ | VI. ეს ფულები გაწერილია ივლისის თვის გასავალში მისაცემლად სასწავლებლის ექიმად ყოფილს ედუკბოვს-და შეტანილია საზოგადო გასავლის ჯამში, მაგრამ დარჩა მიუცემლად მისი წასვლის გამო და ბოლოს მისი დათხოვნისა გამო. |
| და სრულიად | 9795 | 52⅔ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანგარიში გასავალთა.

| მუხლნი გასავალთა: | სმეტ. დანიშნული სამღვდელოებისაგან, | ნამდვილად დახარჯული 1884 წ. |
|---|---|---|
| სასწავ. სამი მოსამზადებელი კლასების შესანახავად: | მან. კ. | მან. კაპ. |
| ა) ზედა მოსამზადებელი კლასის გაკვეთილების ფასად . | 530 | |
| 1) რუსული ენისათვის . | 200 » | 224 99⅓ |
| 2) სამღვთო სჯულისათვის | 110 » | 99 96½ |
| 3) ქართული ენისათვის . | 80 » | 80 » |

განმარტება გასავალთა:

I. ა) ამ განყოფილების შესანახავად სმეტით დანიშნულს საზოგადო ჯამს—420 მ. მიემატა აგრეთვე ნახევარი ცალკე სმეტით დანიშნული (№ 4) ჯამი—220 ზედა დ მეორე მოსამზადებელთ განყოფილებათა სამღვთო სჯულის მასწავლებლისთვის.

1) ამ ჯამიდამ 10 გაკვეთილისთვის მიეცა 133 მ. 32⅔ კ. მასწავლებელს მაჩარაძეს 1 იანვრიდამ 1 სეკტემბრამდე და 91 მ. 66⅔ კ. მასწავლებელს ქვენი მოპოვრას 1 სეკტემბრიდამ პირველ იანვრამდის 1885 წლისა; ამას თანავე მიცემულია 24 მ. 99⅓ კაპეიკით მეტი, ვინემ სმეტით იყო გადაწყვეტილი, მის გამო, რომ სეკტემბრის თვიდამ 5 გაკვეთილისთვის ამ განყოფილებაში ქძლეოდათ როგორც მეტი გაკვეთილისათვის—20 მ. კი არა, როგორც იყო გადაწყვეტილი სმეტით, არამედ შტატის გაკვეთილისა მებრ—35 მ. რაც მოხდა თანახმად სამმართველოს გარდაწყვეტილებისა. დამტკიცებულის მისი უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოსის მიერ. 1—3 სეკტემბრიდამ 1884 წლისა, №30. გაკვეთილების განაწილების დროს მასწავლებელთა შორის, მოხდენილის სამართველოსაგან, თანახმად რევიზორის ჩვენებისა, რომელმაც რევიზია უქნა სასწავლებელს წარსულს 188¾ სასწავლო წელში და რომელმაც გაიჩვენა წესი რუსული ენის გაკვეთილების გაყოფისა მასწავლებელთა შორის.

2) ამ ჯამისაგან სამი გაკვეთილისთვის როგორც შტატის გაკვეთილის ფასად, თანახმად სმეტისა, 91 მ. 11½ კ. მიეცა მასწავლებელს მაჩარაძეს 1 იანვრიდამ 13 ნოებრამდე და მასწავლებლის თანამდებობის აღმასრულებელს გოგამეს 8. მ. 75 კ. 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წლისა. დაიხარჯა სმეტაზე ნაკლები პირველად მიტომ, რომ 13 ნოემბრიდამ პირველ დეკემბრამდის გაკვეთილები, მასწავლებლის მაჩარაძის გასვლის შემდეგ, დაჭერილნი იყვნენ სასწავლებლის სხვა მასწავლებლების მხრით; თანახმად სამართველოს ჟურნალური დადგენილობისა 15 ნოემბრიდამ 1884 წელსა, № 38, დამტკიცებულის მისი უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ და მეორეთ მიტომ, რომ სმეტით გარდაწყვეტილი იყო 5 მანეთით მეტი იმაზე, რაც საჭირო იყო, სახელდობ 3 გაკვეთილში, თითოეულში 35, მოუწევს 105 მანეთი და არა 110 მანეთი.

3) ეს ფულები მიეცა 4 გაკვეთილისათვის მასწავლებელს ერ. კანდელაკს, რომელიც ასწავლიდა მათ, როგორც მეტ გაკვეთილებს სახეიდლით 20 მ. გაკვეთილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | მან. | კ. | მან. | კაპ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 4) არითმეტიკისთვის . . | 80 | » | 80 | » | 4) ეს ფულები მიეცა 4 გაკვეთილისთვის მასწავლებელს გაცერელიას, როგორც დამატებითი გაკვეთილებისთვის. |
| 5) წერისთვის. . . | 60 | » | 57 | $16\frac{1}{2}$ | 5) ამ ჯამიდამ მიეცა სამ გაკვეთილში, როგორც დამატებულში, 40 მ. მასწავლებელს მომბორიას 1 იანვრიდამ 1 სეკტემბრამდე; 12 მ. $16\frac{1}{2}$ კ. მასწავლებელს ერისტო მაჭარაძეს 1 სეკტემბრიდამ 13 ნოემბრამდის; 5 მ. მასწავ. გორგაძეს 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წ. დახარჯულია სმეტაზე ნაკლები პირველი მიზეზისა გამო, რომელიც ნაჩვენებია განმარტებათა ბ-ს ქვეშ. |
| ბ) 2 მოსამზადებელი განყოფ. გაკვეთილების საფასოდ | 710 | » | | | ბ) ამ განყოფილების შესანახავად სმეტით გარდაწყვეტილს საზოგადო ჯამს—600 მ. დაემატა, თანახმად განმარტებისა, საზოგადო სმეტის წინა მუხლისა 1 ქვეშ მეორე ნახევარი ჯამისა—110, რომელიც დანიშნული იყო ამ განყოფილების საღმთო სჯულის მასწავლებლისთვის. |
| 1) ამ განყოფ. ამღზრდელს | 540 | » | 540 | » | 1) ეს ფულები მიეცა მასწავლებელს იაკიმოვს რუსული ენის 10 გაკვეთილისთვის, 4 ქართულის და არითმეტიკისათვის, ამასთანავე 12 შტატის გაკვეთილისთვის თითოეულ გაკვეთილში 35 მ. და სრულიად 420 მ. და 6 დამატებითი გაკვეთილში, თითოეულში 20 მ. და სრულიად 140 მანეთი. |
| 2) საღმრთო სჯულის გაკვეთილებისთვის . . | 110 | » | 99 | $86\frac{1}{2}$ | 2) ამ ფულებიდამ სამ გაკვეთილში შტატის გაკვეთილის სასყიდლისა მებრ მიეცა 91 მ. $11\frac{1}{3}$ მასწავლებელს მაჭარაძეს 1 იანვრიდამ 13 ნოემბრამდე და მასწავლებლის თანამდებობის აღმასრულებელს ან. გორგაძეს 8 მ. 75 კ. 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წ. დაიხარჯა ნაკლები იმა მიზეზთა გამო, რომელნიც მოხსენებულია ქვეშ ბ) გასავლის წინა მუხლისა. |
| 3) წერისთვის . . . | 60 | » | 57 | $16\frac{1}{2}$ | 3) ამ ფულებიდამ მიეცა სამი გაკვეთილისთვის, როგორც დამატებითი გაკვეთილებში, მასწავლებელს კანდელაკს 1 იანვრიდამ 1 სეკტემბრამდე 40 მ.; მასწავლებელს ერ. მაჩარაძეს 1 სეკტემბრიდამ 13 ნოემბრამდე 12 მ, $16\frac{1}{2}$ კ. და მასწავლებელს გორგაძეს 1 დეკემბრ. 1 იანვრამდე 1885 წ. 5 მ. დახარჯულია სმეტით გადაწყვეტილ ჯამზე ნაკლები იმ მიზეზის გამო, რომელიც ნაჩვენებია განმარტებაში 5) ქვეშ გასვლის წინა მუსლისა მებრ. |
| და სრულიად | | | 697 | » | |
| გ) 1) ძირა მოსამზადებელი კლასის გაკეთების ფასად<br>1) ამ განყოფ. ამღზრდელს | 540 | » | 540 | » | გ) 1) ეს ფულები მიეცა მასწავლებელს ნ. ჩარაიას 18 რუსული ენის, ქართულის, არითმეტიკის, საღმრთო სჯულის და წერის გაკვეთილებში, ამასთანავე თორმეტი შტატის გაკვეთილში, თითოეულში 35 მ. 420, ხოლო 6 გაკვეთილის, როგორც დამატებითი გაკვეთილებისა 20 მ. 120 მანეთი. |
| II. პირებზე რომელნიც სასწავლებელში მსახურებენ სამღვდელოების ხარჯით: | | | | | II. |
| ა) სახლის ფული: | | | | | |
| 1) სასწავ. ზედამხედველს | 300 | » | 300 | » | 1) ეს ფულები დანიშნულებისა მებრ გაცემულია. |

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 2) ზედამხედვ. თანაშემწეს | 200 | » | 200 | » |
| 3) ნადზირატელს . . | | | 10 | » |
| 2) ქართული გალობის მასწავლებელს: . . | 120 | » | 120 | » |
| 3) რუსული გალობის მასწავლებელს . . | | | 40 | » |
| 4) სასწავ. ნადზირატელს | 420 | » | 394 | 17 |
| 5) სასწავლებლის მეორე ნადზირატლის და კლასების აღმზრდელების თანამდებობის აღმასრულებელ მასწავლებლებს . | 420 | » | 631 | 76 |

2) 3) ეს ფული, რომელიც სმეტით გადაწყვეტილი არ იყო, გაცემულია ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ამა წლისა იმ ფულებიდამ, რომელიც შემოდის სწავლის უფლებისთვის საერო წოდების შვილებისაგან, თანახმად სამართველოს ჟურნალური დადგენილობისა 11 ოკტომბრიდამ 1884 წლისა, № 34, დამტკიცებულის მისი უსამღვდელოესობის, Ⴈმერეთის ეპისკოპოზის მიერ, რომლის ძალით ეს ფულით შემწეობა 60 მ. უნდა იხარჯებოდეს აღნიშნულის წყაროიდგან სმეტაში შეტანამდის სამღვდელოების საშუალებათაგან.

2) ეს ფულები მიეცა მასწავლებელს მვგ. მომპორიას 6 გაკვეთილისთვის, რომელსაც ეს გაკვეთილები ჰქონდა, როგორც დამატებითი გაკვეთილები სასყიდლით თითოეულ გაკვეთილზე 20 მანეთი

3) ეს ფულები მიეცა რუსული საეკკლესიო გალობის მასწავლებელს Ⴈაკიმოვს 2 გაკვეთილში მესამე და მეორე მოსამზადებელი კლასების განყოფილებაბეში, როგორც დამატებითი გაკვეთილებში. ზასავალი ამ მუხლისა არ იყო შეტანილი მოულოდნელი მიზეზისა გამო მოსამზადებელი კლასების ხარჯთა აღრიცხვაში და ამიტომ იყო დახურული წარსული წლების დარჩენილი ფულებისაგან.

4) ამ ფულებიდამ მიეცა ნადზირატლად ყოფილს Ⴈ. ჭიჭინაძეს 1 იანვრიდამ 4 მარტამდის 74 მ. 66 კ. და ახლად მყოფს ნადზირატელს ნ. Ⴇუთბერიძეს 319 მ. 51 კ. 28 მარტიდამ 1 იანვრამდის 1885 წ. დაიხარჯა სმეტით გარდაწყვეტილ ფულებზე ნაკლები, მის გამო რომ შემდეგ ჭიჭინაძის წასვლისა ნადზირატლის თანამდებობა 5 მარტიდამ 28 მარტამდის დარჩა თავისუფალი და ამ თანამდებობას ამ დროს აღსრულებდა მეორე ნადზირატლის თანამდებობის აღმასრულებელი და მასწავლებლები უფასოდ.

5) სმეტით დანიშნულს ფულს—420 მ. უნდა მიემატოს 250 მ., რომელიც გადადებული იყო ამავე საგნისთვის იმ ფულებიდამ, რომელიც შემოდის საერო წოდების ბავშების სასწავლებლად, თანახმად სამართველოს ჟურნალურ—დადგენილობათა 11 სეკტემბრიდამ 1882 წლისა № 15, 3 ოკტომბრიდამ 1884 წ. № 33, დამტკიცებულთ მისი უსამღვდელოესობის, Ⴈმერეთის ეპისკოპოზის მიერ და მაშინ საზოგადო ჯამი შეადგენს 670. ამ დახარჯული ფულებიდამ მიეცათ ამ წელში ნადზირატლის და კლასის აღმზრდელის თანამდებობის აღმასრულებელთ შვიდ მასწავლებელს: ზაცერელიას, მომპორიას, Ⴍბოლენსკის, Ⴀნსეროვს, კანდელაკს და ჩარაიას თვი-

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 6) სასწავლებლის ექიმს . | 200 | » | 164 | 99⅓ |

თეულს 90 მ. 90 კ. სულ 545 მ. 40 კ.; მასწავლებლად ნამყოფს მაჭარაძეს 13 ნოემბრიდამ ამა წლისა 78 მ. 36 კ. და ბორგაძეს 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წ. 8 მანეთი. Დაიხარჯა საზოგადო სმეტით გარდაწყვეტილ ჯამზე ნაკლები პირველად მიტომ, რომ ნოემბრამდის ეძლევოდათ საერო წოდების შკოლების შემოტანილი ფულებიდამ, თანახმად ნაჩვენებთა და ყოვლად სამღვდელოს, Იმერეთის ეპისკოპოზის მიერ დამტკიცებულ სამართველოს დადგენილობათა, შემდეგ 200 მ. დანიშვნისა, ხოლო ნოემბრიდამ—250 მ. და მეორეთ მიტომ, რომ 13 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე ნადზირატელის თანამდებობათა მაჩარაძის წასვლის შემდეგ ასრულებდენ მასწავლებელნი უფასოდ.

6) ამ ფულებიდამ მიეცა ექიმად ყოფილს Მღქუბოვს 1 იანვრიდამ 1 აგვისტომდე 116 მ. 66 კ. და ახლანდელს ექიმს Იუხნევიჩს 1 ნოემბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წ.—43 მ. 83⅓ კ. მის ასაღებ ჯამაგირის ანგარიშში და 15 მ. ავად მყოფი შაგირდების დასახედავად სეკტემბრის და ოკტომბრის თვეებში, როგორც გარეშეთ მოწვეული. დაიხარჯა სმეტაზე ნაკლები 35 მანეთით და ⅔ კ. მისთვის, რომ სამღვდელოების დეპუტატების XX კრებამ გააუქმა ექიმის თანამდებობა სასწავლებელში, რომელიც არც ყოფილა 1 აგვისტოდამ 1 ნოემბრამდე; ამა დროდამ სასწავლებლის სამმართველო საჭიროებისა გამო, თანახმად ჟურნალური დადგენილობისა, დამტკიცებულის მისი უსამღვდელოესობის Იმერეთის ეპისკოპოზის მიერ 27 სეკტემბრიდამ № 32 იძულებული იყო მოეწვია სასწავლებელში საკუთარი ექიმი, იმ წლიური საფასით, რომელიც სმეტით გარდაწყვეტილი იყო. Დანარჩენმა შეადგინა 35 მ. ⅔ კ. და არა 49 მ. 50 კ., რომელი ჯამიც ნამდვილად უნდა დარჩენილიყო ექიმის ჯამაგირის მიუცემლობისა გამო, თანახმად სმეტისა, 1 აგვისტოდამ 1 ნოემბრამდე, მაგრამ რადგან ამ ფულებიდამ, როგორც ზევითაც არის ნაჩვენები, მიცემულია ექიმ Იოუხნევიჩზე, ზემო აღნიშნულნი 15 მ. გარეშე მოპატიჟებისთვის, რომლის გამოკლებით დარჩება ნამდვილად ნაჩვენები ფული—35 მ. ⅔ კ. ამ დანარჩენს უნდა იიემატოს 16 მ. 66⅔ რომელიც ჩაწერილი არის შემოსავალში დანარჩენი ფულების ანგარიშში, რის გამო იქავე მოხდენილ არს განმარტება. (იხილე განმარტება შემოსავლის VI მუხლისა, რომელთანაც ეს დანარჩენი ამ მუხლის გარდადებულის ჯამისა იქნება 51 მ. 67 ⅓ კ.

| | მან. კ. | მან. კ. |
|---|---|---|
| 7) სამღვდელოების მხრით სამართველოებს წევრებს. | 100 » | 100 » |
| 8) სასწავლებლის სამართველოს საქმის მწარმოებელს და მწერალს . . | 220 » | 220 » |
| 9) ბიბლიოტეკარს . . | | 14 » |
| 10) სასწავლებლის ფერშალს | 40 » | 90 $49^2/_3$ |

7) ეს ფულები მიეცათ: მ. კალანდარაშვილს 43 მ. 75 კ.; კეკელიას—50 მ. სამართველოს წევრის თანამდებობის აღმასრულებელს 15 აგვისტოდამ 1 ოკტომბრამდე მ. ქავთარაძეს მ. კალანდარაშვილის სხვაგან მყოფობისა გამო—6 მ. 25 კ., თანახმად სამართველოს ჟურნალური დადგენილობისა 27 ივლისიდგან 1884 № 27, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ. სამღვდელოების დეპუტატების XX კრებამ კეკელიას გაუხადა ჯამაგირი 100 მ. წელში, მაგრამ რადგან ამ ხარჯისთვის ნაჩვენები წყარო არ აღმოჩნდა, ე. ი. სმეტით დადგენილი მათგან გაუქმებულის სასწავლებლის ექიმის თანამდებობისა, თანახმად განმარტებისა გასავლის წინანდელი მუხლისა (6), ამიტომ სამართველო აძლევდა მას სასყიდელს უწინდელი სმეტისა მებრ, თანახმად იმავე განმარტებაში ნაჩვენები სამართველოს დადგენილობისა მებრ, დამტკიცებულის მისი უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ;—(ჟურნალი სამართველოისა 27 სეკტემბრიდამ № 32.)

8) ეს ფულები მიეცა სასწავლებლის სამმართველოს საქმის მწარმოებლის და მწერლის თანამდებობის აღმასრულებელს ვ. ზაცერელიას.

9) ბიბლიოტეკარად არის მასწავლებელი იაკიმოვი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ბიბლიოტეკები— გასყიდელის და ფუნდამეტალურისა 60 მ. წლიური სასით იმ ფულებიდამ, რომელიც შემოდის საერო წოდების შვილების სასწავლებლად და რომლითაც იხურება ამ მუხლის გასავალი, თანახმად სამართველოს ჟურნალური დადგენილობისა 27 სეკტემბრიდამ № 32, დამტკიცებულის მისი უსამღვდელ., იმერეთის ეპისკოპოზისაგან; ნაჩვენები ჯამი მიეცა მას 7 ოკტომბრიდამ 1 იანვრამდის 1885 წ. რომელი დროიდგანაც მან იწყო ამ თანამდებობის აღსრულება.

10) შესახებ აღმატებული გასავლის ჯამისა სმეტით გარდაწყვეტილ ჯამთან შედარებით შენიშნულია სმეტაშივე, რომ აღმატებული ჯამი გასავლისა ამ საგანზე იხურება საერო წოდების ბავშების სასწავლებლად შემოსულის ფულებიდგან, რომელთანაც მიწერილია დანარჩენი ფულები. ამ ნაჩვენები ფულებიდამ მიეცა სასწავლებლის ფერშლად ყოფილს ზვამიჩავას მისგან ნამდვილად მიღებულის ჯამაგირის ანგარიშში 87 მ. $49^2/_3$ კ. 1 იანვრიდამ 15 ნოემბრამდე, რომლის შემდეგ მას თავი უნდა დაენებებია სასწავლებელში სამსახურისთვის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, ხოლო 3 მ. მიეცა

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 11) სასწავ. მოსამსახურეებს | 270 | » | 325 | » |
| და სრულიად | 2290 | » | 2610 | 42 |
| III. კლასის ავეჯეულობის სასყიდლად . . . | | | 323 | 88 |

მასვე, თანახმად სამართველოს დადგენილობისა 20 თებერვლიდამ 1884 წლისა № 11, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ; ცხენის საქირავებლად შეგირდების დასახედავად, რომელთაც ყვავილი ჰქონდათ აცრილი და რადგან ამ უკანასკნელთა რიცხვი ძალიან დიდი იყო.

11) ამ სტატიით დაიხარჯა მეტი იმიტომ, რომ მოსამსახურეები სასწავლებელში 1 იანვრიდამ 1 ივლისამდის იყვნენ სამის მაგიერ, როგორც უნდა ყოფილიყო სმეტით, ოთხი და წლიური ფასი 90 მ. კი არა თვითეულს, არამედ 96 მ., 1 ივლისიდამ კი 1 სეკტემბრამდის დატოვებულ იქმნა მხოლოდ ორი მოსამსახურე, რადგან მათში საჭიროება არ იყო, თვეში 7 მ. 1 სეკტემბრიდამ კი სამი, თითოს თვეში 9 მ. ესრეთი შეცვლა მოსამსახურეების რიცხვისა, რომელიც გამოწვეულ იქმნა საჭიროებისა გამო, ხდებოდა ხოლმე ყოველთვის მისი უსამღვ., იმერეთის ეპისკოპოზის ნება-რთვით, თანახმად სამმართველოს დადგენილობისა. ამ აღნიშნული ფულებიდამ მიეცათ მოსამსახურეებს: სიმონ ქავთარაძეს 84 მ. 1 იანვრიდამ 1 ივლისამდის და 1 სეკტემბრიდამ 1 იანვრამდინ 1885 წ., კოსტა ბერაიას—64 მ. 1 იანვრიდამ 8 სეკტემბრამდის, ნიკო ქავთარიას—62 მ. 1 იანვრიდამ 1 სეკტემბრამდის, ანდრო დავიტაიას—63 მ. 1 მარტიდამ 1 ივლისამდის, ამასთანავე ივლისში მას, ავადმყოფობისა გამო გამოერიცხა მისი ჯამაგირისაგან 5 მ. და 1 სეკტემბრიდამ 1 იაევრამდის 1885 წ, ნიკო დავიტალიას 36 მ. და დათია ხუხუას 16 მ. 1 იანვრიდამ 1 მარტამდის. ეს სმეტაზედ აღმატებული ხარჯი იფარებოდა სამღვდელოებაზე დარჩენილი შემოტანილი ფულებისაგან. რომ ამ საგნისთვის სმეტით დადგენილი ფული საკმაო არ იყო, ეს ეცნო სამღვდელოების XX კრებას, რომელმაც არ გამონახა ამის წყარო და არც გარდაწყვიტა კითხვა.

III. ამ აღნიშნული ჯამიდამ სტოლიარს ტორაძეს მიეცა 210 მ. მოწაფეების 30 ახალ სტოლებში, თითოეულში 7 მ., 27 მ. ფუნდამეტალური ბიბლიოტეკის შკაფში და 11 მ. 48 კ. ქუთაისიდგან მოსატანად; 45 მ. ქავთარაძეს ერთი დიუჟინი ვენის სკამებში და სტოლიარს ბაკაიას სამ სტოლში და ორს ტაბურეტკაში 30 მ. და 40 კ. ეს გასავალი, რადგან სმეტით არ იყო გარდაწყვეტილი სამღვდელოების ხარჯისაგან, დაიხურა საერო წოდების შვილებისაგან შემოტანილი ფულებით, თანახმად სამმართველს დადგინებათა 27 სეკტემბრიდამ და 7—10 დეკემბრიდამ, №№ 32 და 39, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| IV. სასწავლებლის შეგირდებისთვის საჭირო წამლებში . . . | 100 | » | 157 | 44$^{5}/_{6}$ |
| და სრულიად | 100 | » | 157 | 44$^{5}/_{6}$ |
| V. სასწავ. სახლის ქირათ | 400 | » | 527 | 77 |
| და სრულიად | 400 | » | 527 | 77 |
| VI. სასწავლებლის სახლის გასათბობად . . | 157 | 50 | 177 | » |
| და სრულიად | 157 | 50 | 177 | » |

**IV**. ხარჯთა აღრიცხვაში ამ სტატიის შესახებ არის შენიშვნა, რომ სმეტაზე აღმატებული ფული უნდა დაიხუროს საერო წოდების შვილების შემოსული ფულებიდგან, რომელიც, მართლაც, დაიხურა ამ წყაროდამ, თანახმად სამართველოს ჟურნალურ დადგენილობათა, დამტკიცებულთა მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ **8** მარტიდამ, **3** მაისიდგან, **7—14** ივნისიდგან, **№№ 13, 17, 23, 26** და სხვ. აღნიშნული ფულები მიეცა ადგილობით აპტეკის პატრონს, ვაასკოვსკის.

**V.** ამ აღნიშნული ფულებიდამ **27** მ. **77** კ. მიეცა მანუჩარ ლონიას, რადგან უწინ 1 იანვრიდამ 20 თებერვლამდის მისი სახლი იყო დაქირავებული სასწავლებლისთვის, ხოლო დანარჩენი **500** მ. მიეცა მუტუნია მირადიშვილს ახლად დაქირავებულს მის სახლში სასწავლებლისთვის **20** თებერვლიდამ ამა წლისა, გადასახდელი წინეთ დაქირავებული სახლის ქირა 1 იანვრიდამ 20 თებერვლამდის—55 მ. 55 კ. არ იყო მიცემული სახლის პატრონზე (იმავე მირადიშვილზე), თანახმად სამმართველოს ჟურნალური დადგინებისა 7 თებერვლიდამ 1884 წ. **№ 9**, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ, მის გამო რომ მან (მირადიშვილმა) დაარღვია პირობა შემდეგ მისი ახალი შენობის დაქირავებისა და სასწავლებელი სარგებლობდა მისი უწინდელი შენობით 1 იანვრიდამ 20 თებერვლამდე უფასოდ ახალი შენობა სასწავლებლისთვის დაქირავებულია თანახმად შეკრული პირობისა სამართველოსთან, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოზის მიერ, 800 მ. წელიწადში, რომელი ჯამის ანგარიშში, თანახმად შეკრული კანტრაკტისა, გადახდილია წარსულს 1883 წელში 300 მ, რომელიც გაწერილია გასავალში 1883 წ. რომ ამ საგნისთვის სმეტით დანიშნული ჯამი საკმო არ იყო, სასწავლებლის სამმართველომ შეატყობინა სამღვდელოების კრებას, რომ მას აღმოეჩინა რამე წყარო სმეტაზე აღმატებულის ფულის დასახურავად, მაგრამ ამისთანა წყარო არ იყო გამონახული და ამიტომ ეს ხარჯი დაიფარა წინა წლების სამღვდელოებაზე ვალად დარჩენილი ფულებისაგან.

**VI.** სმეტით დანიშნულზე მეტი დაიხარჯა 29 მ. 50 კ. პირველად მიტომ, რომ ერთი საჟენით და ერთი ურმით ნაყიდია მეტი სმეტით დანიშნულზე და მეორედ საჟენში ეძლევოდა 10 მ. 50 კ. კი არა, როგორც სმეტით იყო დანიშნული, არამედ 11 მ., რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| VII. სასწავლებლის ულარიბეს შეგირდების შესაწევრად | 300 | » | 322 | » |
| და სრულიად | 300 | » | 322 | » |
| VIII. მოსწავლეებისთვის წიგნების გასაყიდელი ბიბლიოტეკის დასაარსებლად და ფუნდამეტალურის შესავსებად . . | | | 150 | » |
| და სრულიად | | | 150 | » |
| IX. კანცელარიის მოწყობილობისთვის . . | 130 | » | 271 | 81½ |
| და სრულიად | 130 | » | 271 | 81½ |

მოხდა თანახმად სამართველოს დადგენილობისა 10 ოკტომბრიდამ 1884 წ., № 33, დამტკიცეაულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ და სმეტაზე აღმატებული გასავალი დაიხურა წინა წლების სამღვდელოებაზე დარჩენილი ფულებიდგან. ამ დახარჯული ფულებიდამ 185 მ. მიეცა შეშის მომტანს გიორგი რეკავას, 10 მ. გოგიას და 2 მ. ცალკე ერთ ურემ შეშაში.

**VII.** ეს ფულები მიეცათ სასულიერო წოდების 40 მოსწავლეებს ა) ყველა ობლებს, ბ) ულარიბეს მედავითნის შვილებს, გ) იმ მღვდლის შვილებს, რომელთაც სასწავლებელში ჰყავს არა ნაკლებ სამი შვილისა, შემწეობა ეძლეოდათ 5 მ. 20 მანეთამდე. Დახარჯულია სმეტით დანიშნულზე მეტი 22 მ., რომელიც დაიხურა საერო წოდების შვილების შემოტანილი ფულებით ყოვლად სამღვდელოს, იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის ნება-რთვით, სამართველოს ჟურნალურ დადგენილობისა მებრ 7—10 დეკემბრიდამ 1884 წ. № 39.

**VIII.** ეს ფულები, როგორც სმეტაზე აღმატებული, მიცემულია თანახმად სამართველოს ჟურ. დადგენილობათა 27 სეკტემბრიდან და 7—10 დეკემბრიდამ № № 32 და 39. დამტკიცებულთა მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ საერო წოდების შვილების შემოტანილი ფულებიდგან; ამ ფულებიდამ 100 მ. მიეცა ბილიოტეკარს სხვა და სხვა მოწაფის საჭირო ნივთების სასყიდლად და სახელმძღვანელოებისა წიგნების გასაყიდელ ბიბლიოტეკისთვის, ხოლო 50 მ. სხვა და სხვა წიგნების და სახელმძღვანელოების გამოსაწერად სასწავლებლის ფუნდამეტ. ბიბლიოტეკისთვის. მოწაფეებისთვის სავაჭრო ბიბლიოტეკის დაარსების საჭიროება ეცნო სამღვდელოების XX კრებას და სამმართველო სთხოვდა კრებას რამე წყაროს გამონახვასა, მაგრამ კრებამ უჩვენა იმავ წყაროზედ, რომლიდგანაც, როგორც ზევით არის ნათქვამი, დაიხურა ეს ხარჯი.

**IX.** ამ აღნიშნული ფულებიდამ მიეცათ: 1) მესტამბეებს ვ. ზედგინიძეს და პ. ფერაძეს 70 მ. 74 კ. 1000 ეგზ. მოსწავლეების ბილეთების დასაბეჭდი და გამოსაგზავნი, 400 ფურცლიანი და ნახევარ ფურცლიანი სასწავლებლის სამმართველოს ბლანკებისა, ბ) 600 ფურც. შესავალ-გასავლის წიგნისთვის და ორი კვიტანციის წიგნებისა, გ) 300 ფურც. ყოველი თვიური ვედომოსტებისა შაგირდების სწავლაზე და ყოფაქცევაზე, დ) 100 ფურც. ბლანკები ფორმულიარნი სიებისთვის, ე) 250 ფურც. კლასის

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| X. მოულოდნელი ხარჯე-ბისათვის . . . | 130 | » | 311 | 33 |
| და სრულიად | 130 | » | 311 | 33 |
| და სრულიად | 5287 | 50 | 6630 | $81^2/_3$ |

ჟურნალებისთვის, ყდაში გაკეთებული; ვ) 1000 ეკზ. ბეჭდები პაკეთებისთვის, ზ) 100 ეკზ. მოსწავლეების მოწმობებისა, ღ) 30 ფურც. ყოველი თვიური შემოსავლის და გასავლის სიებისა, თ) 300 ფურც. სამმართველოს საქმეებისთვის გარედ შემოსახვევად; 2) გაიგზავნა იზმიროვის მაღაზიაში კალენდარისთვის და 150 ფურც. კონვერტებისთვის—3 მ. 35 კ.; 3) სტოლიარებს: მათე ლუკავას და სოფრომ ლაკიას 83 მ. 90 კ. მოსწავლეების 103 სტოლების შესაკეთებლად, 9 რამკა კლასების სიებისთვის, კლასის დაფების შესაკეთებლად, სტოლებისა და სკამებისა და მინების ჩაჯენაში და სხვ. და სხვ. 4) გაზეთ «დროების» რედაქციაში გაიგზავნა 28 მ. 21 კ. ეს ფულები მიცემულა სასწავლებლის ანგარიშის დაბეჭვდისათვის წინა $188^2/_3$ წ., თუმც სამმართველოს საქმეებში არ აღმოჩნდა არაფერი ცნობა სამართველოსაგან ამ გვარი ზაკაზის მიცემისა ხსენებული რედაქციისადმი, მაგრამ როცა რედაქციამ სამმართველოს თხოვნით ზაკაზის გამოგზავნის კვიტანცია წარმოგვიდგინა, მაშინ ზემო აღნიშნული ფული სამართველოსაგან იქმნა გაგზავნილი, თანახმად სამმართველოს დადგენილობისა 8 მარტიდამ № 13, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ; 5) ქავთარაძის მაღაზიას გაეგზავნა 64 მ. $36^1/_2$ კ. სხვა და სხვა კანცელარიის საჭირო ნივთებისთვის და ინსპექციისთვის საჭირო წიგნებში, ბიბლიოტეკისთვს და ჩასაწერი დავთრები, ქაღალდი, კალმების, კარანდაშების, ლაქის, მელის. სამთლის მინების, იატაკის საწმედი ჩოტკების, დაფების საწმედის, ბაწრების, ღრუბლის, 2) სასწავლებლის მოსამსახურეების ლამპებისთვის, 3) ვედრები ფარნები, ტილო ძაფი და სხვ. 6) 21 მ. 25 კ. მიეცა სხვა და სხვა პირთა, ბუხრების და ფეხის ადგილის გასაწმენდათ, სასწავლებლის საათის მოსამართად, ტელეგრამების, ცულის, ხერხის გასაკეთებლად და სხვა ყველა ეს გასავალი ხდებოდა ყოველთვის თანახმად სამმართველოს დადგენილებით, დამტკიცებულის მისი ყოვლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოზის მიერ, ამასთანავე სმეტაზე აღმატებული ხარჯი იხურებოდა სამღვდელოებაზე ვალად დარჩენილი ფულებით, თანახმად სამმართვ. ზემო აღნიშნული დადგენილობათა 8 მ. 20 კ.—საერო წოდების შეილებისაგან შემოტანილი ფულებიდგან (იხილე სამმართ. ჟურნალი 27 სეკტემბრიდამ № 32 1884 წლისა.)

X. გასავალში აღნიშნული ფულები მიეცათ: ა) 65 მ. არხიტექტორ ზაბლოცკის მომავალი სასწავლებლის შენობის და სასწავლებლის შენობის ადგილის პლანში, ბ) 201 მ. 14 კ. (გასაგზავნიანათ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხიტეკტორს მინჩევსკის იმავე საგნისთვის; გ) 8 მ. 10 კ. ადონიას ლვინოში და სეფისკვრებში მოწაფეების ზიარების დროს პირველი დიდ-მარხვის კვირიაკეში, დ) 1 მ. 60 კ. მ, ქალანდარიშვილს, ქალაქის ეკკლესიიდამ წამოღებულ სამთლებში ღვთის მსახურების შესრულების დროს თ. მხეიძის კარის ეკკლესიაში; ე) ლვინოში, სეფისკვრებში და საკმეველში იმავე მიზნისთვის—3 მ. 3.; ვ) 19 მ. 95 კ. მიეცა ზედამხედველს სასწავლებლის საქმისთვის ქუთაისში მისვლა-მოსვლის გზის ფასად და 3 მ. 62 კ. მიეცა ზედამხედველის თანაშემწეს ამავე მიზნისთვის; ზ) სასწავლებლის ნივთების ახლად დაქირავებულ შენობაში გადატანისთვის 6. მ. მიეცა ვახანიას და თ) საეკკლესიო სლავიანური ღვთის მსახურების წიგნების გამოგზავნაში, რომელიც გამოგზავნილია უფასოდ უწმიდ. სინოდ. 2 მ. 39 კ. და 50 კ. მ. ბერიძეს მისგან სამმართველოში წარმოდგენილი აღმასრულებელ ფურცლისთვის (**исполнительный листъ**). მომავალი სასწავლებლის შენობის პლანის აღება წინა-პირველ მინდობილი ჰქონდა ყოვლად უსამღვდელოესობისა, Ⴈმერეთის ეპისკოპოსის მიერ ზაბლოცკის, რომელსაც ყოვლად სამღვდელოს განკარგულებით მიეცა ზემოთ აღნიშნული ფულები, მაგრამ მისგან შედგენილი პლანი არ იქმნა დამტკიცებული და მისმა ყდ. უსამღვდ. Ⴈმერეთის ეპისკოპოზმა ხელ-ახალი პლანის აღება მიანდო უ. ლენჩევსკის და ზემოთ აღნიშნული მიცემული ფულები გაეგზავნა მის ყოვლად უსამღვდელოესობას. გასავლის მუხლში მოხსენებული 265 მანეთი პლანის შესადგენად გადაწყვეტილია სამმართველოსაგან და დამტკიცებულია მისი უსამღვ. Ⴈმერეთის ეპისკოპოზის მიერ და დახარჯულია საერო წოდების შვილების შემოსული ფულებიდგან, ხოლო დანარჩენი სმეტით გარგაწყეტილი ჯამისაგან.

---

რომ დახარჯული ფულები აღემატებიან სმეტით დანიშნულს იმ ჯამით, რომელიც ნაჩვენებია, ეს მოხსენდა სამღვდელოების XX კრებას და ეთხოვებოდათ მათ ამ აღმატებული ჯამის წყაროს გამონახვა, მაგრამ აღნიშნულმა კრებამ, გამოსთქვა რა ეჭვი სამმართველოს ამისთანა მოხსენებაზე, გადადვა ამ საგანზედ მსჯელობა ანგარიშის წარმოდგენამდე, თუმც სამმართველოს მოხსენებაში ნაჩვენები იყო ყოველივე მუხლი გასავლისა და მიზეზი ხარჯის აღმატებისა ვრცლად და გაგებით, როგორც სჩანს მისი ყოვლად უსამღვდელოესობის რეზოლიუციისაგან, მოხსენილის ამავე კრების დადგენილობაზე

სმეტაზე აღმატებულის ხარჯის დასაფარავად უღ. სამღვ., იმერეთის ეპისკოპოზის ნება-რთვით და თანახმად სამმართველოს ზემო მოხსენებულ დადგენილობათა 1142 მ. 82½ კ. დაიხარჯა საერო წოდების შვილების შემოტანილ ფულებისაგან, ხოლო დანარჩენი სმეტაზე აღმატებული ხარჯი დაიხურა იმ ფულებიდგან, რომელიც სამღვდელოებაზე იყო დარჩენილი წინა წლებში და რომელიც შემოვიდა ამ წელში როგორცა სჩანს შესავლის და გასავლის აღნიშნულ მუხლებისაგან, საზოგადო ჯამი ფულებისა, რომელიც ნამდვილად შემოვიდა ამ 1884 წ. შეადგენს 9795 მ. 52⅔ კ., ხოლო ნამდვილად დახარჯული ფულების ჯამი შეადგენს ამ წელში 6630 მ. 71⅔ კ. ეს ჯამი რომ გამოვაკლოთ საზოგადო შემოსავლიდგან—9795 მ. 52⅔ კ. დარჩება 3164 მ. 81 კ.

ნამდვილთან სწორია: სამეგრ. სას. სასწავ. სამმართველოს საქმის მწარმოებელი კ. გაცერელია.

---

ოფიციალური უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი კ. პობედონოსცევი ოტნოშენიით 16 მარტიდამ ამა წლისა, № 3854 სთხოვს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს, რომ დაბეჭდოს ეპარქიალურ გამოცემაში მოწოდება შემოწირულებათა შესაკრებლად, რათა ამ შეწირულებით ხელ-ახლად იქმნეს აღშენებულ ტაძარი ქ. იაკობ-შტადში ნაცვლად ბოროტ განზრახულობით აერში ათეთქებულისა და დამწვარისა, და სთხოვს ამასთანავე თავის მხრით დაეხმაროს შეწირულებათა შეკრების საქმეს. ვბეჭდავთ მთლად კომიტეტის მოწოდებას:

## მოწოდება შემწირველთა.

მართლ-მადიდებელნო ძმანო!

მოხდა საშინელი ბოროტება, რომლის მზგავსი ჯერეთ არსად ყოფილა რუსეთის ხალხში!

ეს მოხდა არა არეულობის დროს, როდესაც დამმგვრევი ომის იარაღები არ ზოგვენ ღვთის ტაძრებსაც; არამედ მშვიდობიანობის დროს უკეთური ხელი უღვთოისა აღიძრა მიმდინარე წლის 16 იანვრის რიცხვსა აათეთქა აერში და ცეცხლით გააქრო უძველესი ძეგლი მართლ-მადიდებლობისა ბალტიის ზღვის ნაპირა მხარეებში. მშვენიერად განახლებული ბალტიის ძმობის ცდილობით მისი უავგუსტოესიის მფარველის და სხვათა კეთილთა პირთა შეწირულებათა საშუალებით ტაძარი სულის წმიდის მოსვლის სახელით ქალაქს იაკობ-შტადში, კურლიანდიის გუბერნიისა, შემდეგ ოცდა ათი წლის გაუქმებულად მყოფობისა, წარსული წლის 1-ს ნოემბერს დიდის ცერემონიით ხელ-ახლა ნაკურთხი სამთა მღვდელ-მთავართა: მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის კიევის მიტროპოლიტის პლატონისა ყოვლად სამღვდელო დონატისა, რიჟსკისა, მიტავიის ეპისკოპოსისა და კოვენიის ეპისკოპოსის სერგიისაგან, დამგრეულ არს და ქვების ხვავად და ნაცრად გადაქცეულ.

ძნელ შეიძლება აღდგენა ამ დანაკარგისა მათთვის, ვინც პატივს სცემს ეკკლესიურ ძველთა ნაშთთა, განსაკუთრებით ამისთანა მხარეში, რომელიც ძლიერ ღარიბია ამისთანა ნაშთებით.

ემორჩილებით მიუწთომელ ღვთის განგებას, რომელმაცა მოგვივლინა ამისთანა საშიშარი ბოროტ-განზრახულების ჩადენა ჩვენ ცოდვათათვის: ვევედრებით შემოქმედსა, მოგვიტეოს ჩვენ ჩვენი შეცოდებანი, გარნა ნუ დავშთებით უმოქმედოთ და მღვიძარებით მივყოთ ხელი ღვთის საქმეს!

კეთილ-მსახურნო ქრისტიანენო! პატივი და ღირსება მართლ-მადიდებლობისა ითხოვს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუყოვნებლივ აეგოს, ნაცვლად აერში აფეთქებულის და დამწვარის ღვთისა სახლის, კიდევ უკეთესი ტაძარი, რომ არ დარჩეს გავერნებულად ადგილი ისტორიული ნაშთისა, სადაც აღავლენდა ერთ დროს ლოცვას უფლისა ღვთისადმი მიმნიჭებული რუსეთისადმი ძველად მისი საკუთვნელოისა პოლკის წინამძღოლი გრაფი ბორის პეტრეს ძე შერემეტევი, რომელმაც აჩუქა ამ ტაძარს ნაკვეთი მიწა-წყალი, რომელიც დღემდის კიდეც იმყოფება ამ ეკკლესიის კრებულის სარგებლობაში, იმ ეკკლესიისა, რომელშიც ორი საუკუნის განმავლობაში აღივლინებოდა ლოცვა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთაგან, როგორც რუსეთის საკეთილ-დღეოდ, აგრეთვე მისი უმაღლესი წინამძღოლისა.

Ⴈაკობ შტადის სულის წმიდის ტაძარი დიდი ხანი ანათებდა ერთი მხოლოდ მართლ-მადიდებელი სინათლით, რომელი სინათლეც ეფინებოდა გარშემო სხვა-და-სხვა ტომის და ენის ხალხთა და იყო ყველასთვის სათაყვანოდ ყოვლად პატიოსანის ღვთის-მშობლის ხატის გამოისობით, პირველად ბელო რუსებისაგან იაკობ შტადის ქალაქის დაარსებისა დღემდის სასწაულებრივი კურნების მადლის მიმნიჭეობით სნეულთადმი.

Ⴌუ თუ უნდა გავაქროთ ჩვენ ეს ბრწყინვალება მართლ-მადიდებლობისა? ღმერთმა ნუ ქნას ესე! წინააღმდეგ ყველა მართლ-მადიდებელი რუსის ხალხი ვალდებულია, შეძლებისა და გვარად, დაეხმაროს ხელ-ახლად უმშვენიერესი ტაძრის აღშენებას ამავ ადგილას დასასვენებლად მასშინა სასწაულთ მოქმედის ღვთის-მშობლის ხატისა, სადიდებლად ჩვენ ყოველთათვის უძვირფასესის მართლ-მადიდებლობისა და შესარცხვენელად არაწმიდისა ბოროტ-მოქმედისა, რომელმანცა აიღო ხელი ღვთის ტაძრის აღსახოცად და გასაქრობად და რომელმაც გაბედა მოფიქრება, რომ ამით შეაშინებს მთელს რუსეთს.

Ⴄკკლესიის ხელ-ახლად აღშენების წმიდა საქმეში ყველა რუსმა უნდა მიიღოს მონაწილეობა: მაღალმაც და მდაბალმაც, მდიდარმაც და ღარიბმაც, რომ აღენთოს ისევე დამხობილი ლამპარი მართლ-მადიდებლობისა უწინდელ ადგილზე!

Ⴄცადეთ, მართლ-მადიდებელნო, მსოფლიო ლამპარზე.

Ⴜევრნი კომიტეტისა შეკრებისათვის შეწირულებისა აღსადგენელად დამგვრეული მართლ-მადიდებელის სული წმიდის მოსვლის ტაძრისა ქ. იაკობ შტადში, კურლიანდის გუბერნიისა:

Ⴈ. იუ. ვიალოშევი, ლ. ნ. ვიტვიცკი (საქმის მწარმოებელი), ი. ვ. გუსეევი, ი. მ. ქელტოვი, ე. ა. კამკინ, ა. მ. კუროჩკინ ი. მ. მეხინ, ნ. დ. მერკულიევ და სხვანი.

Ⴆემოხსენებულს კომიტეტს, მის ყოვლად უსამღვდელოესის რიუსკის და მიტავის ეპისკოპოსის დონატის დადგენილის კურთხევითა და ნება დართვითა უ. ლიფლიანდის გუბერნატორისა, პატივი აქვს უმორჩილესად სთხოვოს უუ. გარეშე ქალაქების პირთა, რომელთაც სურდეს მონაწილეობის მიღება მეორე ტაძრის აღშენებაში შეწირულებით, გამოგზავნონ შეწირულებანი ან ლიფლიანდიის გუბერნატორის კანცელარიაში, ანუ მესამე რუსის ურთი-ერთ ნდობის ბანკში კომიტეტის თავსმჯდომარის ეგნატე ალექსანდრეს ძის შუტოვის სახელზე. რიგის ქალაქის მცხოვრებთა შეუძლიათ თავიანთი შეწირულება წარადგინონ ან გუბერნატორის კანცელარიაში, ან გადასცენ პირდაპირ კომიტეტის წევრთა, რომელთაც აქვსთ მინდობილი შეკრება შეწირულებათა რიგის ქალაქში.